საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 12 ივლისი, 2014 წელი.

№136 (7517)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

დღეს არჩევნებია

სად დაუჭერს „ნაციონალური მოძრაობა“ მხარს „ქართულ ოცნებას“?

③



მძიმედ განვიცდი, რომ ადამიანები ჩემი ბრძანების გამო დაიღუპნენ

⑤

◎ დღის ამ**ფრაზ**ურიდან

„ქართლის ცხოვრებაში“ ნაპოვნია ვახტანგ გორგასლის ფრაზა, ნადირობის შემდეგ თქმული:

— უკეთუ მეცოდინებოდა, ვითარმედ მელიები და გველიები მოიბრიანებდნენ თბილისის გათავკაცებას, არცრა ისარ-ბოძალს არ ამოვაცქვრენდი კაპარჭიდან, ანუ ისართ ქარქაშიდან, ხოხბის ცოდვას არ დავიდებდი და არცრა ქალაქს, ტფილისად სახელდებულს, არ დავაარსებდი, რამეთუ განჭვრეტითა ჩემითა ეს უნდა ყოფილიყო ქალაქი ლომთა, სადაც მელიებსა და ტურებს, აგრეთვე სხვა ეშმაკეულთ და ქვემძრომელთ არ უნდა ებოგინათ, მით უმეტეს, არ უნდა ეპიტიახშათ და ეამირსპასალარათ.

(ფრაზას მივაგენით აკადემიკოს **აკაკი შანიძის** არქივში).

ენგურჰესის წყალსაცავის ფერდზე კარიერის გახსნის გამო

④

◎ კვირაძალს საკითხავი

მოქვი — იმედის ტაძარი

⑥

⑦

არზაყან ემხვარი

„საშშობლოს დამკარგავი ყველაფერს კარგავს“

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

მან საქართველოს გადარჩენა განაპირობა



მსოფლიო რანგის პოლიტიკოსი — ასე იცნობს საერთაშორისო საზოგადოება ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

ჩვენს ყურადღებას მისი მოღვაწეობის იმ ეტაპზე გავამახვილებთ, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში 1992 წლიდან დაიწყო. ეს პერიოდი ქართული სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი და ძალიან რთული იყო — ქვეყანა სამოქალაქო ომში ჩათრეული აღმოჩნდა, ყველგან ქაოსი და ანარქია სუფევდა, მოშლილი იყო სახელმწიფო სტრუქტურები და ქვეყანა, ფაქტობრივად, ქუჩიდან იმართებოდა.

მაშინ ქართულმა საღად მოაზროვნე ძალებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს — იმ დროისთვის მოსკოვში მოღვაწე ედუარდ შევარდნაძეს მიმართეს და მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება სთხოვეს. ახლა ხშირად იმეორებენ, რომ შევარდნაძისდროინდელ საქართველოში იყო გაჭირვება, შიმშილი, უშუქობა, უწესრიგობა და ა.შ. ანგარიშს არ უწევენ იმ ფაქტს, რომ მაშინ, 90-იან წლებში, ქვეყანა თავიდან იწყებდა განვითარებას. საქართველოს არ ჰქონდა საკუთარი ენერგორესურსები, მყარი ვალუტა, ოქრო და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები... ვინ ვინ და, იმ დროის მთავრობის წევრებმა ძალიან კარგად ვიცით, რა პირობებში უსდებოდა ქვეყნის მეთაურს და მის მთავრობას მუშაობა.

სწორედ ასეთ ვითარებაში შეძლო ედუარდ შევარდნაძემ მსოფლიოს წამყვან დასავლეთის ქვეყნებთან მყარი ურთიერთობის დამყარება, რამაც, ფაქტობრივად, საქართველოს გადარჩენა განაპირობა.

ეჭვგარეშეა, რომ იმ მდგომარეობის ქვეყანაში ყველაფერი დაწყობილი და დალაგებული ვერ იქნებოდა. შეცდომებიც იქნა დაშვებული, მაგრამ იმის არდანახვა, რომ საქართველოს მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრაციის საქმეში ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ლომის წილი მიუძღვის, უმადურობა იქნებოდა.

საქართველოს 1992-98 წლების მთავრობის წევრები:

ოთარ ფაცაცია, ვაჟა ლორთქიფანიძე, ნიკო ლეკიშვილი, ავთანდილ მარგიანი, ირაკლი მენაღარიშვილი, რომან გოცირიძე, მურთაზ ზანკალიანი, ფრიდონ ინჯია, თედო ნინიძე, ავთანდილ სილაგაძე, მიხეილ ჯიბუტი, ვლადიმერ პაპავა, იღუმენი ილია (სანდრო კავსაძე), გიორგი (ოთარ) კვესიტაძე, დავით გიგაური, ვალერიან ვაშაკიძე, თენგიზ გელეიშვილი, ირაკლი გათიაშვილი, ირაკლი ძადაგიძე, რევაზ არველაძე, დავით იაკობიძე, ლევან ჯაფარიძე, ლერი გიგინეიშვილი.

კონდოლიზა რაისი ედუარდ შევარდნაძის ოჯახის წევრებს უსამძიმრებს

საძართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძემ ედუარდ შევარდნაძის ოჯახის წევრებს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის სამძიმრის წერილი მიუტანა.

როგორც თედო ჯაფარიძემ განაცხადა, იგი კონდოლიზა რაისის წერილს პირადად გადასცემს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოჯახის წევრებს.

მისი თქმით, ედუარდ შევარდნაძე დიდი პოლიტიკოსი იყო, მართალია, ჰქონდა გარკვეული შეცდომები, თუმცა, ის ისტორიას დარჩება, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკოსი, — განაცხადა თედო ჯაფარიძემ.

ჭაბუა ამირეჯიბის — ბერი დავითის მეუღლე თამარ ჯავახიშვილი და შვილები ოჯახებით დიდ მწუხარებას გამოთქვამენ მე-20 საუკუნის საქართველოს და მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწისა და მამულიშვილის, ბატონ

ედუარდ შევარდნაძის

გარდაცვალების გამო და გულითად თანაგრძნობას უცხადებენ პაატა შევარდნაძეს და მის ოჯახს, მანანა შევარდნაძეს, გია ჯოხთაბერიძეს და მათ ოჯახს, აგრეთვე შევარდნაძეების ყველა ახლობელსა და მოკეთეს.

უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი ედუარდ (გიორგი) შევარდნაძის სულს.

ჭაბუა ამირეჯიბის — ბერი დავითის ოჯახი

11.07.2014

1992-2003 წლის მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრები გივი ლომინაძე, ვახტანგ ყოლბაია, გია გვაზავა, დიმა ჯაიანი, გენო კალანდია, ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, თენგიზ კალანდაძე, პეტრე ბერაია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, მეოცე საუკუნის სამშვიდობო პოლიტიკის ერთ-ერთი არქიტექტორი, ტაქტით, სიბრძნით, საოცარი პიროვნული ხიბლით გამორჩეული პიროვნება

ედუარდ შევარდნაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის დიდ ოჯახს.

ედუარდ შევარდნაძემ ყველაფერი იღონა ქართველი ხალხის გასაერთიანებლად

ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქართველ ხალხს სამძიმარს უცხადებენ აშშ-ის პირველი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი და მისი მეუღლე ნორა ბრაუნი. როგორც მათ მიერ გავრცელებულ წერილშია აღნიშნული, ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებას არა მხოლოდ ქართველი ხალხისთვის, არამედ მათთვისაც, ვისაც მისი ცნობისა და მასთან მუშაობის პატივი ჰქონდა.

ამასთან, როგორც აშშ-ის პირველი ელჩი აღნიშნავს, მიუხედავად თითქმის გადაუჭრელი პრობლემებისა, ედუარდ შევარდნაძემ ყველაფერი იღონა ქართველი ხალხის გასაერთიანებლად იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცენტრიდანული ძალები თარეშობდნენ.

— აღფრთოვანებული ვართ მისი ძალისხმევით, სიბრძნით, რეალიზმითა და სიმამაცით, რომელიც მან გამოიჩინა მისი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მუქარის წინააღმდეგ. მიუხედავად უამრავი გამოწვევისა, ის ყოველთვის პოულობდა დროს ჩვენს სანახავად და თავისი ფიქრების, იუმორისა და ოპტიმიზმის გასაზიარებლად. ჩვენ დაგვაკლდება ის, — ნათქვამია კენტ და ნორა ბრაუნების სამძიმრის წერილში.

◎ ალიანჩალიანი

მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა გრძელდება

მაგისტრალური გაზსადენის გორი-ქარელის 700 მმ დიამეტრის 20კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა გრძელდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან აცნობეს, მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების 43% უკვე შესრულებულია, რომელთა შორის არის მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, მილების შედუღება, იზოლაცია, ტრანშეას გათხრა, მიწის უკუჩაყრა, ჰიდროტესტირება, მიწის ნაყოფიერი ფენის აღდგენა და სხვა.

„გორი-ქარელის“ მონაკვეთის მშენებლობა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტის IV ფაზის ფარგლებში ხორციელდება და მას აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) აფინანსებს.

„გორი-ქარელის“ 20კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის კონტრაქტის ღირებულება 3 889 692,24 აშშ დოლარს შეადგენს.

მშენებლობისთვის მასალების შესყიდვა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის ორი („გორი-ქარელი“ და „ზესტაფონი-ქუთაისი“) მონაკვეთისთვის ერთი ტენდერის ფარგლებში განხორციელდა.

სავარაუდოდ, შემოდგომაზე დაიწყება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაზე ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა. როგორც გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს თბილისის ისტორიის მუზეუმში „ქარვასლა“ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის განხორციელებისადმი მიძღვნილი ღონისძიების შემდეგ განუცხადა, საქართველოს მთავრობის სურვილია, კერძო კაპიტალით აშენდეს ეს პორტი, თუმცა, როგორც სტრატეგიულ ობიექტში, გათვალისწინებული იქნება ის მუხლები ხელშეკრულებაში, რომელიც არის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაში.

— ეს იქნება ღრმაწყლიანი პორტი, რომლის განვითარებაც მოხდება რამდენიმე ფაზის შედეგად. პირველი ფაზა არის სამწლიანი ფაზა, რომელიც საქართველოს გადაზიდვების პოტენციალის გაორმაგებას ითვალისწინებს პირველ სამ წელიწადში. შემდეგი ფაზა იქნება გაასმაგება, ხოლო 12 წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 40 მილიონის გამტარუნარიანობის პორტის აშენება. შემდგომი განვითარება უკვე დაეფუძნება ტექნიკურ კვლევებს, რომლის შედეგადაც კომპანია განავითარებს შემდგომ და საბოლოო სიმძლავრეს, წინასწარი მონაცემებით და გათვლებით გათვალისწინებულია 100 მილიონი ტონა, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ისრაელში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ისრაელში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, საქართველოს მოქალაქეების საყურადღებოდ ისრაელში საქართველოს საელჩო განცხადებას ავრცელებს.

— ქვეყანაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ისრაელში საქართველოს საკონსულოში მოქმედებს ცხელი ხაზი. საქართველოს მოქალაქეებს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ დაუკავშირდნენ საქართველოს წარმომადგენლობას ცხელი ხაზის ნომერზე +972-526919092.

ასევე გაცნობებთ, რომ ისრაელის სამხრეთი და ცენტრალური რეგიონების ყველა დიდ დასახლებულ პუნქტში გახსნილია საზოგადოებრივი თავშესაფარი. სარაკეტო თავდასხმის შემთხვევაში, საზოგადოებრივი თავშესაფრის გამოყენება შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, — აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, საქართველოს საელჩო ისრაელში საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს ისრაელის შესაბამისი უწყებების მიერ გავრცელებულ ინსტრუქციებს. მასში მოყვანილია ის ძირითად პრინციპები, რომლებიც მოქალაქეების მიერ უნდა იყოს დაცული სარაკეტო თავდასხმის მაუწყებელი განგაშის გამოცხადების შემთხვევაში:

1) განგაში გაისმა მაშინ, როცა იმყოფებით შენობაში: თავი შეაფარეთ სახლში არსებულ სპეციალურად დაცულ ოთახს. თუ ასეთი ოთახი არ არსებობს, მაშინ უნდა მიაკითხოთ სახლთან არსებულ უახლოეს საზოგადოებრივ თავშესაფარს. საზოგადოებრივი თავშესაფარი ისრაელის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობს;

2) იმყოფებით შენობის გარეთ: შეგიძლიათ თავი შეაფაროთ უახლოეს შენობაში არსებულ თავშესაფარს. თუ იმყოფებით მანქანაში და გაიგეთ სარაკეტო თავდასხმის მაუწყებელი განგაში, უნდა შეაჩეროთ მანქანა, გადააყენოთ გზის სავალი ნაწილიდან, გადმოხვიდეთ და მიაკითხოთ უახლოეს თავშესაფარს (საზოგადოებრივს ან შენობაში არსებულს). ასეთის არარსებობის შემთხვევაში, დაწექით მიწაზე მანქანიდან მოშორებით და თავი დაიფარეთ ხელებით. დაცული ტერიტორიის დატოვება შესაძლებელია განგაშიდან 10 წუთის გასვლის შემდეგ.

◎ ღია წერილი

მერობის კანდიდატს მელიას

ნიკა (ნიკანორ) მელიას მინდა გაზეთის საშუალებით მაინც განვუმარტო (როცა მერობის ამბიციები აწუხებს): მისი სახლის წინ მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორის ჩაიკოვსკის სახლი რომ ინგრევა უპატრონობისაგან, დანახული მაინც ექნება (თუმცა, ნაციონალებისათვის ის, ალბათ, მხოლოდ რუსი კომპოზიტორია). ევროპიდან ჩამოსულმა სტუმარმა მითხრა, ეს სირცხვილი არ არისო? ცნობილი თამბაქოს მაგნატის ბოზარჯიანცის სახლის წინ მდინარე რომ დის წლობით, ისიც დაუნახავი არ დარჩებოდა, მისი სახლის წინ სოლოლაკში პატარა სკვერში (სამკუთხედი) რაღაც კაფეს მსგავსს რომ ჩხირავენ რკინაბეტონით, მოსაწონია?

და ბოლოს, მანქანების გაჩერება ჭირს მთაწმინდაზე ასასვლელში და კომერციული კაფეს ადგილი იყო? არადა, თითქოს ევროპელებს ვბაძავთ! არა მგონია, ევროპელებმა უადგილო ადგილას რაიმე შენობა ჩაჩხირონ და ამით პრობლემები შეიქმნან.

მიკვირს ალეკო ელისაშვილისა. ის სოლოლაკ-მთაწმინდის, უფრო სწორედ, თბილისის გულშემატკივრად და პატრონად მიმაჩნია (ძალიან ვაფასებ მის შემართებას), რატომ ხმას არ იღებს? ახალარჩეული საკრებულოს პირველსავე სხდომაზე მოსწრებაზე გაცემული ნებართვები (მხედველობაშია კოაბიტაციის პერიოდი) უნდა გადაისინჯოს და უმსგავსობის ჩამდენები სათანადოდ დაისაჯონ.

მალხაზ იაშვილი,
ნიაღვრის ქუჩა.

◎ კითხული კაცის აზრით

„ნაციონალური მოძრაობა“ მხარს „ქართულ ოცნებას“?

„თუ თქვენ გსურთ, რომ კვლავ საბოტაჟის მსხვერპლი გახდეთ, მაშინ ხმა მიეცით ნიკა მელიას. თუ გსურთ, რომ უნდა მისცეთ ხმა განვითარებას, უნდა მისცეთ ხმა დავით ნარმანიას“, – აცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ მეორე ტური მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის და ქართული დემოკრატიის განვითარებისათვის.

„გასულ წელს ძალიან რთული კოჰაბიტაციის პერიოდი გავიარეთ, ძალიან კარგად გვახსოვს, მით უმეტეს, თბილისის მცხოვრებლებს, თუ როგორ მიზანმიმართულ საბოტაჟურ პოლიტიკას ახორციელებდა ყოფილი მერი გიგი უგულავა და მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურები, ანალოგიური საბოტაჟის ნიშნები შეინიშნებოდა დედაქალაქის გარდა სხვა რეგიონებში. ჩვენ მეორე ტურით დავასრულებთ საბოტაჟს“, – აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი.

მოვლენათა როგორი განვითარებაა მოსალოდნელი მეორე ტურისთვის, ამ თემაზე ექსპერტი, სოსო ცისკარიშვილი გვესაუბრება.

„ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პოლიტიკური ძალის დასასრული, გახლავთ კიდევ ერთი ქართული ოცნება, რომელიც დიდი ალბათობით, მარტივად ვერ აღსრულდება. შესაბამისად, არ ვეღი, რომ რაიმე სერიოზული ცვლილებები მოხდეს ადგილობრივი არჩევნების დასრულების შემდეგ არსებულ პოლიტიკურ რეალობაში, რადგან არსებობს პარლამენტი, მართვის უმაღლესი ორგანო ქვეყანაში და მისი შემადგენლობა არ გვაძლევს საფუძველს რაიმე დასაბუთებული ცვლილების მოლოდინისა.

– რაც შეეხება ადგილობრივ არჩევნებს და მეორე ტურს, ღარიბაშვილი აღნიშნავს, რომ დემოკრატიულობის ზრდის თვალსაზრისით ეს ძალზე მნიშვნელოვანია...

– ადგილობრივი არჩევნები ნამდვილად მაჩვენებელია ჩვენი ქვეყნის მზარდი დემოკრატიულობის. თავად ის ფაქტი, რომ მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ მაგალითი მისცა ყველა, მის წინამორბედ და მომავალ პოლიტიკურ ძალებს, რომ არ უნდა ეშინოდეს რომელიმე სავარძლის დაკარგვის და სრულიად მოულოდნელად ბევრისთვის, 30%-იანი ბარიერი - 50%-ად აქცია. რითაც მართალია, შედარებით მეტი თავისტკივილი გაუჩნდათ თავადაც, მაგრამ ამით პატივი სცეს ჩვენთვის გაუცხოებულ რეჟიმში მყოფ დემოკრატიას.

იმედი მაქვს, სამომავლოდაც გაგრძელდება დახვეწა საარჩევნო კანონმდებლობის და ერთი და იგივე ხალხის მიერ არჩეული მერის და საკრებულოს ურთიერთობა დაეყრდნობა ახალ, სამართლიან საფუძველს – თუ მერის გადარჩევის უფლება ეძლევა საკრებულოს, მაშინ კეთილი ინებოს, საკრებულომ გაითვალისწინოს ისიც, რომ მერიც და საკრებულოს წევრებიც ერთი და იგივე ადამიანების მიერ არიან არჩეული და თუ ამ ადამიანებს სწორი არჩევანის გაკეთება არ შეუძლიათ და ამიტომ დგება საკითხი მერის გათავისუფლებისა, მაშინ ასეთი გადაწყვეტილების მიღებისთანავე, საკრებულო თავადაც უნდა დაიშალოს და დაინიშნოს ახალი არჩევნები - ამას ჰქვია სამართლიანობა. ყოველივე დანარჩენი, აღიქმება, როგორც გამარტივებული გზა მმართველი პოლიტიკური ძალისთვის, რომ არსებული უმრავლესობა თითოეულ საკრებულოში იყოს ზეწოლის ინსტიტუტი ხალხის მიერ არჩეულ მერზე. რასაც იგივე, დემოკრატია, ნამდვილად არ მოგვიწონებდა.

– ხალხს აინტერესებს, იქნება თუ არა ახალი თვითმმართველობა ხალხის სამსახურში – ნარმანიამ და მელიამ დებატების დროს გაკეთებული და გასაკეთებელი საქმეების სიები გაცვალეს – თქვენ თუ დაგამახსოვრდათ მნიშვნელოვანი ფაქტები, რა გაუკეთა ყოფილმა მერმა მნიშვნელოვანი თბილისელებს და ახალი მერისგან რას ელოდებით?

– მერობაზე არასოდეს მიფიქრია, შესაბამისად, ასეთი პროგრამები არ შემიდგენია, დაპირებები და ხედვა საკმარისზე მეტი აქვთ მეორე ტურისთვის შემორჩენილ კანდიდატებს. ჩვენს მოსახლეობასაც მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი განწყობა. განსხვავება პირველსა და მეორე ტურს შორის უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ნაცვლად საკუთარი სამზარეულოსი, საკუთარ აზრს გამოთქვამენ საარჩევნო უბანზე მისვლით.

ამდენად, თუკი რაიმე აზრი ჰქონდა თბილისის მერობის კანდიდატების დებატებს, ვფიქრობ, ეს უნდა ყოფილიყო სრულიად მკაფიო მოწოდება თბილისელებისთვის, მივიდნენ არჩევნებზე. ვფიქრობ, რომ ინდიფერენტული მეორე ტურის მიმართ თბილისელები არ იქნებიან, რადგან მათ საკუთარი დამოკიდებულება რეალობის მიმართ, უკვე ორჯერ, შარშან და შარშანწინ გამართული არჩევნების დროს გამოხატეს.

პირველი ტურიც არ იძლევა რაიმე სიურპრიზის მოლოდინის საფუძველს, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ბატონ ნარმანიას ჰქონდა სურვილი, საკუთარი გეგმები წარმოედგინა პროგრამის სახით. ხოლო ბატონი მელია ძირითადად, ორიენტირებული იყო დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალთა შორის საუკეთესოს წარმოჩენის სურვილით.

ამდენად, დღეს გვიანია ვინმესთვის საკუთარი პოზიციის გადაფასება. ელემენტარულად, ვებრძოლოთ საკუთარ სიზარმაცეს, გავაცნობიეროთ საკუთარი ვალდებულება საჯელმწიფოს წინაშე და ნუ დავიზარებთ, საარჩევნო უბნებზე მისვლას.

– საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება, რომ უგულავას სწორედ ახლა დაკავებით ხელისუფლება ხომ არ შეეცადა დამატებითი სტიმულის მიცემას ხალხისთვის. თუმცა, ნარმანია აცხადებს, რომ უგულავას დაკავება მელიასთვის არის მომგებიანი, რადგან კრიმინალი აღარ ჰყავს გვერდით. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს ფაქტი რომელიმე კანდიდატზე აისახება?

– ვფიქრობ, მერობის კანდიდატების გასარჩევი კრიმინალური პროცესი არ უნდა იყოს, მით უმეტეს, ვიდრე სასამართლო არ იტყვის საკუთარ სათქმელს. ისიც უცნაურია ჩემთვის, საარჩევნო პროცესში, მთავრობის თავმჯდომარე, როგორც პარტიის თავმჯდომარე, ისე რომ საუბრობს საზოგადოებასთან. გასაკეთებელი კიდევ ბევრია, ამიტომ აგიტაციის ფუნქციის მქონე სტრუქტურაც და პიროვნებაც არ უნდა იყოს მთავრობის უმაღლესი პირი, რადგან ისინი არიან არა რომელიმე ერთი კონკრეტული პოლიტიკური ძალის მომხრე ხალხის პრემიერები და ვიცე-პრემიერები, არამედ მთლიანად, ქვეყნის პასუხისმგებლობით აღჭურვილი პირები.

პარტიულ ორგანოებს საკმარისზე მეტი ჰყავთ ადამიანები, რომლებმაც მხოლოდ პოლიტიკური გზავნილები უნდა მისცენ საზოგადოებას. ხოლო, თუ მერი უნდა იყოს მხოლოდ მეურნე ვინმეს წარმოდგენაში, რასაც მე არ ვიზიარებ, არც პრემიერმა და ვიცე-პრემიერმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, მეურნენი უნდა იყვნენ და პოლიტიკური შეფასებებისა და წინასაარჩევნო ლოზუნგებისგან თავი უნდა შეიკავონ, რომელი პოლიტიკური თანამდებობაც არ უნდაც ეკავოთ პოლიტიკურ პარტიაში.

– ნარმანია აცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, პირველ რიგში, მერიას გაათავისუფლებს არაკვალიფიციური კადრებისგან. ისიც ვიცით, რომ განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, მერია უმუშევარი ნაციონალების თავშესაფრად იქცა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საკადრო წმენდა ხელისუფლებას არც ერთ უწყებაში არ განუხორციელებია, რამდენადაა მოსალოდნელი, ეს გააკეთოს ახალმა მერმა? ამასთან, ტაქტიკურად, რამდენად სწორია ასეთი განცხადება მეორე ტურის წინ?

– რასაკვირველია, არაკვალიფიციური კადრების ადგილი არ არის მერიაში, თუმცა, ასეთ მაგალითს უფრო მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან ვერ ვამჩნევთ. ალბათ, ამისი მაგალითი ჯერ მთავრობის მეთაურმა და მინისტრებმა უნდა აჩვენონ, შემდეგ მერიის დროც მოვა.

თუმცა, არ მგონია, რომ თავად მერიაში მომუშავე პროფესიონალმა მლიქვნელებმა ასეთი განცხადების შემდეგ ხმა მისცენ ნარმანიას – მათ კიდევ ჰქონდათ მოლოდინი, რომ ხმის მიცემისა და სოლიდარობის გამოცხადების შემთხვევაში, ისინი შეძლებდნენ სავარძლების შენარჩუნებას. ნებისმიერ შემთხვევაში, არც ეს გამონათქვამი და არც რაოდენობა მლიქვნელი მოხელეებისა მერიაში არ ახდენს რაიმე ტიპის გავლენას არჩევნების შედეგებზე. ყველას შეუძლია, ისაუბროს იმაზე, რაზეც სურს, იმოქმედოს ისე – როგორც სურს, ამას ჰქვია არჩევანი.

– საინტერესო ინიციატივა შემოგვთავაზეს ბიზნესკომპანიებმა, ვისაც ექნება მარკირება, შეუძლია 20%-იანი ფასდაკლებით ისარგებლოს მათ ქსელში. გაზრდის ეს ამომრჩევლის რაოდენობას? თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლებას აწყობს ბევრი ამომრჩეველი, მის მიერ ნაკარნახევ იდეას ხომ არ ჰგავს?

– საქართველოსთვის უპრიანი იქნებოდა არა ასეთი ნოუჰაუ, არამედ ბელგიაში არსებული კანონი, სადაც არგამოცხადებულ ამომრჩეველს ელის საკმაოდ სერიოზული ჯარიმა. არ ვიცი, ვინ არის ავტორი ასეთი ინიციატივის – მერე დაიწყება ბრალდებები, რომ მეოცნებეთა ამომრჩეველს სხვა ტიპის სითხეს ასხურებდნენ, „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველს - სხვას – მოქმედი ხელისუფლების მხარდამჭერებს ჰქონდათ 20%-იანი ფასდაკლება, სხვებს - არა. ეს იქნება კიდევ ერთი მიზეზი დაპირისპირების და 24-საათიანი ინტერესის თემა „რუსთავი 2“-ისთვის.

– მოსალოდნელი არის თუ არა პრეზიდენტობა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან? – პირველ ტურში ვნახეთ, რომ მსგავსი მცდელობები იყო, ახლა კიდევ უფრო ხომ არ გააქტიურდებიან?

– მეორე ადგილოსანთა უმრავლესობა აღარ ეკუთვნის „ნაციონალურ მოძრაობას“, შესაბამისად, მათი მოტივაცია მკაფიოდ გასაშიფრი იქნება, ბევრ იმისთანა ინციდენტს ექნება ადგილი. არ ვარ დარწმუნებული, რომ იქ, სადაც მეორე ტურში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი არ არის დაშვებული, რაიმე განსაკუთრებული აქტივობა იყოს ამ პოლიტიკური ძალისგან.

ერთადერთი, ისინი გააქტიურდებიან იქ, სადაც „ქართული ოცნების“ კანდიდატზე უფრო მეტი საფრთხის განცდა ექნებათ. არ გამოვრიცხავ, რომ ასეთ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობა“ მხარს დაუჭერს „ქართულ ოცნებას“.

ამას თავადაც მიხვდება მკითხველი, თუ მივანიშნებ, რომ მსგავსი რამ შეიძლება, მოხდეს გორში – ნებისმიერი კანდიდატის მიმართ გაცილებით მეტი მხარდამჭერი აღმოჩნდება „ნაციონალურ მოძრაობაში“, გარდა ოქრუაშვილის მიერ წარდგენილი კანდიდატისა.

– ანუ საინტერესო პროცესები შეიძლება ვიხილოთ?

– არ მგონია, რადგან იქ ორი ძალა ებრძვის ერთს. ვგულისხმობ „ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ – ეს დუეტი უპირისპირდება სხვა კანდიდატს, რომელიც ამჟამად მეორეადგილოსანია გორში.

– რაც შეეხება რუსთავს?

– რუსთავში საინტერესო მოვლენა უკვე შედგა კიწმარიშვილის განცხადების შემდეგ, როდესაც მან კვლავ დაუდასტურა წლების შემდეგ ერთგულება „ნაციონალურ მოძრაობას“ და მისთვისვე მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ არც ერთი მისი მხარდამჭერი არ აპირებს „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მხარდაჭერას.

ასევე, ბურჯანაძის კოალიციის წარმომადგენლები რუსთავში, მიუხედავად იმისა, რომ ესმოდათ საკუთარი ლიდერისგან განცხადებები, რომ არ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას, მეორე ტურში აპირებენ, აქტიურად დაუჭირონ მხარი „ქართულ ოცნებას“ იმავე მოტივაციით, რითაც „ნაციონალური მოძრაობა“ დაუჭერს მხარს „ქართულ ოცნებას“ გორში. ანუ იმიტომ, რომ არ მოვიდეს მათთვის არასასურველი კანდიდატი.

– განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ნაციონალური მოძრაობისთვის“ თბილისი და დიდი სურვილი აქვს, მისმა კანდიდატმა მოიგოს. აქვს რაიმე შანსი?

– საინტერესოა, რომელი წინა არჩევნების საფუძველზე აქვთ ასეთი მოლოდინი? სურვილებს რაც შეეხება, შეუძლიათ, შექმნან ახალი პოლიტიკური პარტია – „ოცნება-2“ და იოცნებონ პარტიის შიგნით.

თბილისელების საკუთარ ჭკუაზე გადაყვანას სჭირდება არა დაპირება, არამედ რაიმე გამოცდილება საკუთარ მოსახლეობასთან ურთიერთობისა. რაც, მაინცდამაინც კომფორტული არ უნდა იყოს „ნაციონალური მოძრაობისთვის“.

– ძალიან საინტერესოა საკრებულოს თავმჯდომარის თემაც – ყველა პარტიას ჰყავდა სიის პირველი ნომერი, გარდა „ქართული ოცნებისა“, სავარაუდო კანდიდატის ვინაობაც დღემდე გასაიდუმლოებულია. როგორ ფიქრობთ, რა მიზეზით შეიძლება იყოს ეს თემა გასაიდუმლოებული?

– როგორ გითხრათ, ეს უკვე ჩამოყალიბებული ვირუსია, რომელიც „ქართულ ოცნებას“ შეეყარა. ბოლო დღემდე გვეუბნებოდნენ, ვიცი, მაგრამ თქვენ არ გეტყვით, ვინ იქნება პრეზიდენტობის თუ მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატი. ახლა ჯერია, ბოლო წუთამდე ვმალოთ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის ვინაობა – ამაში ახალი არაფერია, თუ ეს ახალისებს ან უფრო მონოლითურს ხდის „ქართულ ოცნებას“, კი ბატონო, შეინახოს ბოლომდე – ამას მოსახლეობაც შეეჩვევა, ჟურნალისტებიც – არავინ კითხვებს არ დავუსვამთ და ბოლოს თვითონ ექნებათ საძებარი, საინფორმაციო წყაროები გადაწყვეტილების გასავრცელებლად.

– როგორი იქნება მთლიანობაში მეორე ტური?

– მეორე ტური იქნება ის ახალი ხილი საზოგადოებისათვის, რომელიც მას არ ავნებს. გემო შესაძლოა, მოლოდინისგან განსხვავებული იყოს, მაგრამ უფრო მეტი მოიწონებს, ვიდრე დაიწუნებს.

ესაუბრა
ლალი ზირაძიშვილი

◎ ალიანჩალიანი

სათუნა გოგალაძე თუშეთს ესტუმრა

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი სათუნა გოგალაძე, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დირექტორი მიხალ კაპლანი, ჩეხეთის ელჩი საქართველოში თომაშ პერნიცკი და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე რატი ჯაფარიძე თუშეთს ესტუმრნენ.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რატი ჯაფარიძემ სტუმრებს თუშეთში განხორციელებული პროექტების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

თუშეთში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა და ახმეტის მუნიციპალიტეტს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმი მიზნად ისახავს დაცული ტერიტორიების განვითარებას, ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული ღირებულებების შენარჩუნებას, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის მიხედვით შერჩეული ღონისძიებების გატარებას.

ინტერპრესი

SOS! SOS! SOS!

რათა სიკეთის მოქმედება უდიდესი მაგალითად ექცეს ადამიანებს!

ტრაგედია არ დაატრიალოს!

ENGURHESIS WYALSACAVIS FERDZE KARIERIS GASXSNIS GAMO

მიმდინარე წლის 11 ივნისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, 13 ივნისს კი „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა დავით ჭიჭინაძის, სოსო ენგურელისა და მურად ჭანტურიას წერილი, რომელშიც ავტორები საგანგაშოდ მიიჩნევდნენ ენგურჰესის მილიარდ ასი მილიონი(!) კუბური მეტრი მოცულობის წყალსაცავის მარცხენა ფერდზე, სადაც ამ ფერდის ყველაზე სუსტი ადგილია (მდინარე მაგანისგან წყალგამყოფი ქედის ხოკოს მონაკვეთი თავისი მიწისქვეშა კასტრებითა და ორივე მხარეს არამყარი, მცოცავი ზედაპირით), 2007 წელს(!) აღებული ლიცენზიით თაბაშირის კარიერის გახსნას.

ავტორებმა საქართველოს მთავრობა და სრულიად საქართველოს მოსახლეობა გააფრთხილეს: **ადამიანთა ასეთი წინდაუხედავი მოქმედების შედეგად შეესაძლოა(!) წყლის უზარმაზარმა მასამ მაგანის ხეობისკენ იპოვოს ნაპრალი, რაც კოლხეთის დაბლობს და შავი ზღვის სანაპირო ზოლს წარმოუდგენელ კატასტროფას დაატეხსო.**

მოსალოდნელი კატასტროფის არიდების მიზნით წყალსაცავის (ენგურის) ქვემო ხეობაში მდებარე ქალაქ ჯვარისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობისგან სასწრაფოდ შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც შესაბამისი მიმართვები გაუგზავნა საქართველოს პრემიერ- მინისტრს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ასევე — ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების თავმჯდომარეებს.

ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა სოციალურ ქსელებში, ტელე თუ ინტერნეტმედიაში... ბევრმა ამ თემას არაერთი მწვავე წერილი თუ გადაცემა მიუძღვნა...

საინიციატივო ჯგუფის წერილზე მყისიერი რეაგირება გააკეთა საქართველოს პრემიერ- მინისტრის აპარატმა, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოს მთავრობას პრინციპული და ღირსეული ლიდერი ჰყავს. წერილი სათანადო რეაგირებისათვის გადაუგზავნა შეს აბამის სამინისტროებს.

ამ ფონზე, სამწუხაროდ, სრულიად ალოგიკურად ჩანს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს განცხადება: ადგილზე ორისამი დღით მივავლინეთ **ორი გეოლოგი** და **გარეგნული, ვიზუალური** შეფასებით იქ არავითარი საფრთხე არ იგრძნობაო!

ვერაფერს იტყვი(?!..)

ჩვენი აზრით, ან სრულ არაპროფესიონალიზმთან გვაქვს საქმე, ან სრულ უპასუხისმგებლობასთან!

არც ერთ წერილში, არც ერთ საჯარო გამოსვლაში არც ერთ ჩვენგანს გეოლოგების ჩამოსვლა არ მოგვითხოვია (მით უმეტეს, რომ, მოგვიტევეთ, მაგრამ, არ ვენდობით იმ ადამიანების, რბილად რომ ვთქვათ, ობიექტურობას, ვისაც პირდაპირი თუ ირიბი შეხება ჰქონდათ 2007 წელსაც, და ახლაც აქვთ, მსგავსი ლიცენზიების გაცემასთან)!

ჩვენ ვითხოვდით და ამჯერადაც ვითხოვთ:

წყალსაცავების ავტორიტეტული სპეციალისტებისაგან (ჰიდროლოგები, ჰიდროტექნიკოსები, გეოფიზიკოსები, კარსტოლოგები, სეისმოლოგები, მათ შორის — გეოლოგები და სხვა შესაბამისი დარგის სწავლულები) შემდგარმა კომპლექსურმა კომისიამ შეისწავლოს საკითხი კარიერის შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის შესახებ და დადოს <u>ოფიციალური დასკვნა!</u>

* * *

გვინდა, ყველას კიდევ ერთხელ შევახსენოთ: **ბატონებო, ეს ენგურჰესია - 271,5 მეტრის სიმაღლის თაღოვანი კაშხლით, 30 კილომეტრის სიგრძეზე გადაჭიმული 1 მილიარდ 100 მილიონი კუბური მეტრი წყალსაცავით და 9 მეტრის დიამეტრის 15 კილომეტრის სიგრძის სადერივაციო გვირაბით! — მას ისეთივე სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ, როგორც ატომურ რეაქტორს, რომელსაც, სიკეთესთან ერთად, უდიდესი ტრაგედიის დატრიალებაც შეუძლია!**

* * *

ამასთან, გვინდა, ვთხოვოთ **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას** და უშუალოდ მის პრეზიდენტს **ბატონ გიორგი კვესიტაძეს,** რომ აკადემიამ თავისი ეგიდით ჩართოს გამოცდილი მეცნიერები ამ უაღრესად აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხის მაღალ მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტაში.

სოსო ენგურელი (ქ. ჯვარი), **ტარიელ უბილავა** (სოფ. ლია),
მანონ ფიფია (ქ. ჯვარი), **კარლო მანია** (ქ. ჯვარი),
მალხაზ სამუშია (სოფ. ლია),**დავით ხასაია** (სოფ. ჭალე),
გიგა ფიფია (სოფ. ლია), **მურთაზ გოგოხია** (სოფ. ფახულანი),
ფლორა ძანთარია (სოფ. ჭალე), **ბონდო მანია** (ქ. ჯვარი),
ველოდი სამუშია (სოფ. ლია), **გიგა აძუბარდია** (სოფ. ჭალე),
იგორ ცხადაია (ქ. ჯვარი), **გვანჯი მანია** (ქ. თბილისი),
მურად ჭანტურია (ქ. ჯვარი)

საკონტაქტო ტელეფონები:
599 24 77 05, 599 15 40 46 (ჯვარში);
593 51 27 47 (თბილისში).

...შეჩერდი, წამო!

აპატურაი, ჯორჯია, სოხუმი — APPATHURAI, GEORGIA, SOKHUMI

ამ სათაურმა, შეიძლება, გაკვირვება ან კითხვები გამოიწვიოს - რა კავშირშია სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში NATO-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი და ჩვენი ქვეყნის განუყოფელი და ულამაზესი ქალაქი სოხუმი? დამშვიდით, ჩემო მეგობრებო და თანამემამულეებო, ჯერჯერობით არაფერი ხდება საქართველოს მშვიდობიანი გაერთიანების თვალსაზრისით ისეთი, რამაც შეიძლება ჩვენი სიხარული გამოიწვიოს, თუმცა, საქართველოს მოსახლეობისა და მრავალ ქვეყანაში გაფანტული ჩვენი თანამემამულეების უდიდესი ნაწილი იმის რწმენით და იმედით ცხოვრობს, რომ საქართველოს მშვიდობიანი გაერთიანების დროც დადგება!

არ მინდა, გამიგრძელდეს საუბარი ამ თემაზე და დავუბრუნდები მთავარს - რა კავშირშია ნატოს მაღალჩინოსანი, 46 წლის კანადელი ჯეიმს აპატურაი და „ჯორჯია, სოხუმი“?

როგორც ცნობილია, 9 ივლისს ბატონმა აპატურაიმ თბილისში შეხვედრები გამართა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, პრეზიდენტთან, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებთან, სახელმწიფო მინისტრთან ევროინტეგრაციის საკითხებში ..... და განიხილა ნატოს უელსის სამიტისთვის მზადების საკითხები, საქართველოსთან თანამშრომლობის ახალი პაკეტის შემუშავების თემა.. თავად აპატურაიმ და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბევრი კომენტარი გააკეთეს ამ შეხვედრების შემდეგ.

ამიტომ, როდესაც პირისპირ აღვმოჩნდი ბატონ აპატურაის წინაშე მაინც და მაინც არ მქონდა მისთვის დამატებითი კითხვების დასმის დიდი სურვილი: **პირველი** — ჩვენი მოულოდნელი შეხვედრა არაფორმალურ ვითარებაში მოხდა, თბილისის აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში, როცა ყველანი წუთი-წუთზე ველოდებოდით თვითმფრინავში ჩასხდომას და ამ სიტუაციაში აპატურაი არ მოისურვებდა ან ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ის მიპასუხებდა შეკითხვებზე; **მეორე** — რომც ეპასუხა, დარწმუნებული ვიყავი, იმაზე მეტს, რაც მან 9 ივლისს ჟურნალისტებთან თქვა, ის არ იტყოდა; **მესამე** — მე უფრო მაინტერესებდა მისი ადამიანური რეაქცია ჩემს ეკიპირებაზე — ქუდზე და მაისურზე წარწერით „ჯორჯია, სოხუმი“.

10 ივლისს, დაახლოებით 03:40 წუთზე, აპატურაი და მისი თანხლები პირი შემოვიდნენ აეროპორტის გამგზავრების მოსაცდელ დარბაზში, სადაც თბილისი-სტამბოლის რეისის მგზავრები იყვნენ. ყველას ჰქონდა გავლილი საპასპორტო კონტროლი და პირადი შემოწმება, რომელსაც ტრადიციულად გადიან მგზავრები ჩასხდომის წინ...

დარბაზში დაახლოებით 60 მგზავრი იყო,ზოგიერთმა იცნო აპატურაი და თქვა — ხედავთ, ჩვენთან ერთად ნატოს მაღალჩინოსანი იქნება თვითმფრინავშიო, უმეტესობამ ან ვერ იცნო იგი, ან არ მიაქცია ყურადღება აპატურაის გამოჩენას.

გადავწყვიტე, მივსულიყავი მასთან - მაინტერესებდა მისი რეაქცია ჩემს ეკიპირებაზე. მივესალმეთ ერთმანეთს, ხელი ჩამოვართვით, კარგად შემომხედა —დაათვალიერა ეკიპირება და უცბად, ხმამაღლა წაიკითხა წარწერა ჩემს მაისურზე „ჯორჯია, სოხუმი“... ეს იყო ძალიან ემოციური მომენტი , როცა დავინახე მისი რეაქცია, მივაწოდე სავიზიტო ბარათი, სადაც სტანდარტული მონაცემების გარდა, ქართულ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდილი მაქვს სოხუმში 1993 წლის 20 თებერვალს დაბომბვის დროს დანგრეული ჩემი სახლის ფოტო და შესაბამისი წარწერით ინგლისურ ენაზე. ჯეიმს აპატურაიმ იმავე წამს დახედა ბარათს, ხმამაღლა თქვა — ჯორჯია, ჟურნალისტ, სოხუმი!..

ამის შემდეგ ვთხოვე ფოტოს გადაღება და ჯეიმსი დამთანხმდა. ჩვენ ისევე სწრაფად და კეთილგანწყობით დავშორდით ერთმანეთს, როგორც შევხვდით. 5 წუთში კი დაიწყო მგზავრების შესვლა თვითფრინავში, ჯეიმსი ბიზნეს-კლასის მგზავრი იყო, მე — ეკონომკლასის, თვითმფრინავი სტამბოლში გაფრინდა....აპატურაი და მისი თანხმლები პირი, ალბათ, გააგრძელებდნენ ტრანზიტით ფრენას ბრიუსელში, მე კი საათნახევარში გავაგრძელე ჩემი გზა ბუდაპეშტისკენ, სადაც ამ დღებში იწყება წყალბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი საქართველოს ნაკრების მონაწილეობით. მე 2 თვით ადრე გავიარე ოფიციალური აკრედიტაცია ამ ჩემპიონატზე, როგორც ჟურნალისტმა და ვაპირებ, ამ პირველობის გაშუქებას და აგრეთვე უნგრეთში მცხოვრებ ქართველებთან და საქართველოდან ჩამოსულ ქომაგებთან ერთად მხარი დავუჭირო ჩვენ გუნდს....

რაც შეეხება ნატოს, აპატურაის და საქართველოს გაერთიანების თემას — მე არასოდეს ვყოფილვარ პოლიტიკურ რეალობას მოწყვეტილი. ძალიან კარგად მესმის, რომ ჩემი და ჩვენი სოხუმის (იგულისხმება გაგრა, გუდაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, გალი, ტყვარჩელი) და აგრეთვე ცხინვალის რეგიონის რეალურ დაბრუნებას ერთიან საქართველოში სჭირდება მასშტაბური, ინტენსიური და მრავალვექტორული მუშაობა და ეს დამოკიდებულია ბევრ გეოპოლიტიკურ ფაქტორზე... ჩემი ეკიპირება კი არის ჩემი გულის და გონების გამომხატველი ნაწილი და მსოფლიოში ყველასთვის მშვიდობიანი შეხსენება, რომ ჩემი სოხუმი არის საქართველოს ნაწილი: ასე არის ეს აღიარებული მსოფლიოს მიერ, ასე არის ეს ჩვენს გულებში და უნდა დადგეს დრო, რომ ეს რეალურად მოხდება მშვიდობიანად, ქართველების, აფხაზების, ოსებისა და სხვა ეროვნების ადამიანების მონაწილეობით.

არავინ იცის, როგორ და როდის მოხდება ეს და რა როლი შეუძლიათ ითამაშონ ამ პროცესში გაერომ,ნატომ, ევროკავშირმა და რუსეთმა, დიახ რუსეთმაც, რადგან, რუსეთის პოზიციაზე — გვინდა-არ გვინდა, მოგვწონს-არ მოგვწონს — ძალიან ბევრია დამოკიდებული ამ საკითხში.. როგორ მოხდება დასავლეთისა და რუსეთის პოზიციების, სხვდასხვა გეოპოლიტიკური პროცესების მოწესრიგება, დაბალანსება და, ამის გათვალისწინებით, როგორ აისახება ეს ყველაფერი საქართველოს გაერთიანების პროცესზე — ეს დღეს, ალბათ, არავინ იცის ზუსტად, მაგრამ იმედია, რომ უახლოეს პერიოდში გამოჩნდება ამ პროცესების კონტურები...

თენგიზ პაჭკორია

სურათზე: ჯ. აპატურაი და თ. პაჭკორია თბილისის აეროპორტში.

◎ ტამიშის ბრძოლების ექო

მძიმედ განვიცდი, რომ ადამიანები ჩემი ბრძანების გამო დაიღუპნენ

21 წლის წინათ, 1993 წლის 2-12 ივლისს, მთელი საქართველოს ყურადღება ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშისაკენ იყო მიპყრობილი. სეპარატისტული აფხაზეთის სამხედრო ძალებმა 21 წლის წინათ „ტამიშის დესანტის“ სახელით ცნობილი სასტიკი რეიდი განახორციელეს საქართველოს არმიის ზურგში. სოფელ ნაოდში, დაუცველ ტერიტორიაზე, მოულოდნელად შემოჭრილმა რუსულ-ჩრდილოკავკასიურ-აფხაზურმა დესანტმა დახოცა ასეულობით საქართველოს ჯარისკაცი და მთელი ათი დღის განმავლობაში ეჭირა დაკავებული პლაცდარმი.

21 წლის წინანდელ მოვლენებს იხსენებს ამ ბრძოლების უშუალო მონაწილე, გენერალი დავით თევზაძე, საქართველოს თავდაცვის მინისტრი 1998-2003 წლებში. 1993 წლის ივლისში დავით თევზაძე ხელმძღვანელობდა შეიარაღებული ძალების მე-11 ბრიგადას და დესანტის განადგურების ოპერაციის დროს მძიმედ დაიჭრა.

რადიო „თავისუფლება“: ბატონო დავით, როგორ დაიწყო და რატომ მოხდა იმ პლაცდარმზე მოწინააღმდეგის ძალების დესანტირება ასე შეუმჩნევლად თუ მოულოდნელად?

დავით თევზაძე: სიმართლე რომ ითქვას, რაღაცა რომ მოხდებოდა, ამას, გარკვეულწილად, ინტუიციურად ყველა გრძნობდა, იმიტომ რომ ძალიან დიდი ხნის მანძილზე, პრაქტიკულად, მარტის შემდეგ, ფრონტებზე რეალურად არაფერი ხდებოდა და ეს ძალიან ჰგავდა იმას, რომ რაღაც მზადდებოდა. გამოსაცნობი იყო, უბრალოდ, და ამაზე, ალბათ, დაზვერვის სამსახურებს სერიოზულად უნდა ეზრუნათ. შეიძლება მათ ჰქონდათ კიდეც ინფორმაცია, რადგან, როგორც მერე გამოირკვა, რამდენჯერმე ითქვა, რომ ამ ოპერაციის შესახებ ცნობილი იყო ვიღაც-ვიღაცებისთვის. ყოველ შემთხვევაში, იმ დღეს და იმ დილით ჯარებისათვის ეს მოულოდნელობა აღმოჩნდა. მეტიც, გადმოსხდომის წერტილში პრაქტიკულად ჩვენ იქ საფარი არ გვქონდა. მეტიც, ეს მოხდა ჩვენსა და ოჩამჩირის ზოლებს შორის. ეს კლასიკურად გაკეთდა მათი მხრიდან, ადგილის შერჩევა.

— და ეს ის ადგილია, თუ არ მეშლება, სადაც რუსეთს იმ დროისათვის საზღვაო ბაზა ჰქონდა.

— ოჩამჩირეში (რუსებს) ჰქონდათ ბაზა, მაგრამ დესანტის გადმოსხდომა მოხდა ოჩამჩირესა და კინდღლს შორის, ნაოდში. ანუ ეს ის ადგილი იყო, რომელიც არავისი პასუხისმგებლობის ზოლი არ იყო — არც ოჩამჩირის იყო და არც ჩვენი. ასეთი სიცარიელე ფრონტებს შორის არის ხოლმე. აქ მოხდა ეს გადმოსხდომა და ჩვენი ხაზი აღმოჩნდა მთლიანად მოუმზადებელი, იმიტომ რომ ფრონტი შექცეული იყო ჩრდილოეთისკენ.

— სოხუმისკენ? გუმისთისკენ?

— ჩვენი ფრონტი შექცეული იყო ჩრდილოეთისკენ, ანუ კავკასიისკენ - ჯგერდა, ლაბრა. ანუ ზღვის მხარეს ჩვენ არაფერი არ გვქონდა. ჩვენ ვიჭერდით და ვაკონტროლებდით მათ გადაადგილებებს ჯერ ჯგერდას, ჭლოუს და ლაბრას შორის. ეს იყო ძირითადი. ამიტომ იყო სირთულე პირველ საათებში, განსაკუთრებით. მეტიც, (დესანტის) გადმოსხმა დილისკენ მოხდა და ჩვენთვის ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც რეალურად ამუშავდა ოჩამჩირის არტილერია, რომელმაც დაინახა გემები, რომლებიც იტვირთებოდნენ. არტილერიის ხელმძღვანელმა — მაშინ ლეჟავა იყო, თუ არ მეშლება — თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, ვინაიდან არანაირი ბრძანება ცეცხლის გახსნაზე მას არ ჰქონია. აი, ამ საარტილერიო ზალპის შემდეგ ბრიგადაში, რა თქმა უნდა, განგაში გამოცხადდა.

— ამ ზალპმა მიაღწია რაიმე შედეგს? რომელიმე მცურავი საშუალება განადგურდა?

— განადგურებით არაფერი არ გაუნადგურებია, მაგრამ, როგორც მე მეუბნებიან, ორი მცურავი საშუალება იყო, საკმაოდ დიდი მოცულობის. ერთი გადმოცლილი იყო და მეორემ დატოვა აკვატორია. ანუ ორივემ დატოვა აკვატორია, აერიდნენ ამ საარტილერიო ცეცხლს და, სავარაუდოდ, როგორც ჩანს, მეორის გადმოცლა არ მოხდა. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ყო. პირველი რამდენიმე საათი იყო აბსოლუტური გაუგებრობა, ვიდრე დაზვერვის ჯგუფები გაუშვეს და სურათი შეიკრა ჩვენთვის სადღაც შუადღისთვის. მაგრამ ამ დროს საკმაოდ დიდი ზარალი გვქონდა მოყენებული. ზარალი განიცადა ჩოლოყაშვილის ბატალიონმა, რომელიც მოწინააღმდეგეს გზაზე შეხვდა, და ტრისტან წითელაშვილის „ავაზამ“ განიცადა საკმაოდ დიდი ზარალი, ტექნიკის მხრივაც.

— დიდი დესანტი იყო? დიდი შენაერთი გადმოვიდა, საბოლოო ჯამში?

— ახლა მე მიჭირს ზუსტი რიცხვის დასახელება. საბედნიეროდ, ახლა აფხაზები სცემენ თავის ვარიანტს იმ მოვლენებისა, რომლის მონაწილეებიც ჩვენ ვიყავით. მე მაინც ყოველთვის მეგონა, რომ მათი ძალები ჩვენზე ნაკლები იყო და ახლა, ბოლოს, ვნახე — ავტორი არ მახსოვს — დაახლოებით დღე დღეში აღწერილია იგივე მოვლენები და იკვეთება, რომ მათი ძალები მეტი იყო. უშუალოდ დესანტი არ მყავს მე მხედველობაში, არამედ აფხაზური ძალები პლუს ეს დესანტი დაახლოებით ერთ-ნახევარჯერ აღემატებოდნენ ჩვენს ძალებს.

— რატომ შეარჩია მოწინააღმდეგემ ეს მიმართულება? რა სტრატეგიული მიმზიდველობა ჰქონდა მას?

— ჯერ ერთი, ის, პირველ რიგში, სრულ იზოლაციაში აქცევდა ოჩამჩირის დაჯგუფებას. და თუ შეტევა განვითარდებოდა სოხუმის მიმართულებით, გამორიცხული იქნებოდა ოჩამჩირის მხრიდან რაიმე ეფექტური ღონისძიების გატარება. მეორე მხრიდან სოხუმი რეალურად ექცეოდა რკალში. მათ რომ მოეხერხებინათ თუნდაც კოდორთან მისვლა (გზად ჩვენი ბრიგადა იდგა და, უბრალოდ, ეს უშლიდათ ხელს), რეალურად ის, რაც სექტემბერში მოხდა, გაცილებით ადრე მოხდებოდა. ანუ სტრატეგიულად ზუსტად იყო გათვლილი, რადგან ზოლი, რომელშიც მოწინააღმდეგის დესანტი გადმოჯდა, რეალურად არავის მიერ არ იყო დაცული იმ პერიოდში. ახლა ჩვენ, უსაქმურობისგან, ზოგჯერ ამ პერიოდში, ვიდრე ეს მოხდებოდა, ხშირად დავდიოდით, ვსინჯავდით პოზიციებს და ერთხელ გამოითქვა ვარაუდი, რომ კარგი იქნებოდა, ვთქვათ, მანდ გარკვეული რეზერვის ჩაყენება, თუნდაც ზღვის კონტროლისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ეს ვერ მოხერხდა, იმიტომ რომ რაღაც მოდუნებულივით იყო სიტუაცია, ყოველ შემთხვევაში, ასე იგრძნობოდა.

— ეს ის პერიოდია, როდესაც მაისის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაა დადებული და ამითაც იყო განპირობებული ეს მოდუნება?

— დიახ, აი, ეს არის ზუსტად!

— ეს, რაც შეეხება წინაპირობას და მოწინააღმდეგის სტრატეგიულ ჩანაფიქრს. ახლა ამ ოპერაციაში თქვენს მონაწილეობაზე ვისაუბროთ. რამდენადაც ვიცი, თქვენ 1993 წლის 4 ივლისს ტამიშში დესანტის წინააღმდეგ ერთ-ერთ პირველ ოპერაციას უხელმძღვანელეთ და დაიჭერით კიდეც.

— გეტყვით ახლა. ყველაზე მძიმე დღე იყო 2 ივლისი, ღამე იყო ძალიან მძიმე რეალურად. 3-ში მეტ-ნაკლებად ვიგრძენით, რომ სიტუაცია შეიძლება დასტაბილურდეს. ამან შეგვიქმნა გარკვეული იმედი კონტრშეტევის განხორციელებისა. მაშინ რეალურად მოხდა სოხუმიდანაც ძალების გადმოსროლა და მობილიზება. საკმაოდ საინტერესო ვარიანტი დამუშავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ ვარიანტმა აღარ იმუშავა მერე. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

— ანუ არაორგანიზებულობა იყო ოპერაციის მართვაში?

— არა, იცით, როგორ იყო? მოხდა მართვების გადაფარვა. კორპუსის წარმომადგენლობამ ზუსტად არ იცოდა ბრიგადის ჩანაფიქრი და როცა გამოჩნდა კორპუსის წარმომადგენელი, მან მოითხოვა თავის თავზე მართვის აღება და რეალურად, გარკვეულწილად, ბევრი რამე ადგილზე გადათამაშდა, რის წინ წასვლა ვერ მოხდა. მეტიც, ჩაფიქრებული იყო საფლანგო დარტყმები და ვერც ის დარტყმები განხორციელდა. ამასობაში, ახლა მე დაჭრას არ ვიტყოდი, მაგრამ მძიმედ დავშავდი.

— კონტუზირებული იყავით და თქვენ გვერდით თქვენი თანამებრძოლიც დაიღუპა.

— კი.

— ამ საბრძოლო ეპიზოდზე ძალიან ბევრია სალაპარაკო. იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც ტამიშის დესანტის განადგურების ოპერაციის ერთ-ერთი მეთაური და კაცი, რომელსაც კალამი გიჭრით, ოდესმე დაწერთ ამ ბრძოლის ისტორიას. ამ ინტერვიუს ბოლოს კი უნდა ვთქვა, რომ ჩვენი საუბარი შედგა შავნაბადას მონასტერთან, სადაც ყოველი წლის 2 ივლისს იკრიბებიან 21 წლის წინანდელი ტამიშის ბრძოლების მონაწილეები, მოიკითხავენ მწყობრში დარჩენილებს და პატივს მიაგებენ დაღუპულებს. მოდი, თქვენც თქვით ორი სიტყვა იმ ბიჭებზე, ვინც თქვენ გვერდით მაშინ იბრძოდა და დაიღუპა.

— რა არის, იცით? რაც დრო გადის... თავიდან ასე მეგონა, რომ დრო ყველაფერს არჩენს და ეს ჭრილობაც მოშუშდებოდა. მით უფრო მძიმედ განვიცდი, რომ ადამიანები, რომლებიც იმ დღეს დაიღუპნენ, ჩემს ბრძანებას ასრულებდნენ. არც ერთს არ უკითხავს, რატომ გავაკეთო ესო. უბრალოდ, მისმენდნენ და ძალიან მენდობოდნენ. ღმერთმა აცხონოს მათი სულები! მერე სულ ვფიქრობდი, რატომ გადავრჩი? თუნდაც ჩემ გვერდით დაიღუპა ადამიანი, რომელსაც მაშინ სამი შვილი დარჩა. ვერ მოვნახე ამ შეკითხვაზე პასუხი და ბევრჯერ მიფიქრია, ალბათ, რაღაც მაქვს დაშავებული, რომ კიდევ აქ ვიწვალო, თორემ იმათ, ვინც ვალი მოიხადა, გზა პირდაპირ საკითხისაკენ გაიხსნეს. ეს 2 ივლისს იყო.

კოგა ლიკლიკაძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ წერილი რედაქციას

თვით იმის საფლავთან აღვნიშნავთ

გულწრფელი მადლობა 1 ივლისს რომ დიდსულოვნად გამომიქვეყნეთ მცირეოდენი რეპლიკა „მარაბდობაზე“, მაგრამ, ნუ გამიწყრებით, თუ ისევ მოგმართავთ, როგორც იტყვიან, ანალოგიური თხოვნით... დიახ, მაშინ ჩემი გულისსწუხილი გაგანდეთ იმის თაობაზე, თუ როგორ აღვადგინოთ ამ ექვსი წლის წინათ მე და ჩემმა ჩოხოსანმა მეგობრებმა „მარაბდობის“ მივიწყებული სახალხო დღესასწაული, პედაგოგიკის დოქტორის, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ბ-ნ ზ. ცუცქირიძის უკითხავად, მაგრამ ეს რაა, ბ-ნო რედაქტორო, ახლა „უარესში“ უნდა გამოგიტყდეთ:

2005 წელს, საქართველოში ჩამოასვენეს ნეშტი ჩვენი ეროვნული გმირის — ქაქუცა ჩოლოყაშვილისა, რომლის სახელსაც ატარებს ჩვენი დასი (პირველი, სხვათა შორის, მთელ ქვეყანაში!) და აი, 2006 წლიდან, ისევ ბ-ნი აკადემიკოსის დაუკითხავად, დავამკვიდრეთ ტრადიცია, რომ ყოველი წლის 14 ივლისს მთაწმინდაზე, ქაქუცას საფლავთან აღგვენიშნა მისი დაბადების დღე, მით უმეტეს, რომ ამავე დღეს არიან დაბადებულნი **ვაჟა-ფშაველა** და **ნოდარ დუმბაძე,** რომლებიც აქვე განისვენებენ. ამდენად, ხომ წარმოგიდგენიათ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოწვეულ მოსწავლეახალგაზრდებთან ერთად სახელოვანი წინაპრებისადმი პატივისცემის რა გამოხატულება იქნება ეს დღე მთაწმინდის პანთეონში. მაგრამ, ვიმეორებ, ყოველივე ეს თავის დროზე არ შევუთანხმეთ აკადემიკოს ზ. ცუცქირიძეს. როგორც თავად წერს, იგი ხომ მოვლენილია ამ ქვეყნად, „ნათელი მოჰფინოს“ ყველაფერს, არავინ დააჩაგვრინოს არავის, თუნდაც ეს უკანასკნელი იყოს, მისივე დახასიათებით, „ჩოხოსან რაინდთა ბელადი“, „ამოდენა ჩოხოსანი რაინდი“, „მისი რაინდული ბრწყინვალება“ (ანუ, თქვენი მონა-მორჩილი), რომელიც, თურმე, ნუ იტყვით და, ითვისებს სხვის საქმეებსა და იდეებს...

სჯობს გვიან, ვინემ არასდროსო და ეგებ ახლა მაინც მოიღოს მოწყალება ბ-ნმა აკადემიკოსმა და იმითაც შეგვინდოს ეს „დანაშაული“, რომ 14 ივლისს, საღამოს 7 საათზე, გვეწვიოს მთაწმინდის პანთეონში, და თავად დარწმუნდეს, მისივე სიტყვებით, მართლაც მხოლოდ „ტაშ-ფანდურას ხელმძღვანელობა“ შეგვიძლია თუ ქართული სულიერების ისეთი ამაღლებული ზეიმის მოწყობა, როგორც მთაწმინდაზე განსვენებულ დიდ ქართველობას ეკადრება.

უღრმესი პატივისცემით

გ. დოლიძე,
პროფესორი, დასის დარბაზის მეთაური, აკ.წერეთლის პრემიის ლაურეატი

◎ კაკალ გულში

ნერტილოვანი ფრაზები

● ნიკანორმა, ყარაჩოღურად ვარბევდი მიტინგებს, ვიღაც სოფლელ ზონდერში არ აგერიოთო.

● ახალგაზრდა ბიჭი მოკლეს და ლამის ომამდე მივიდა საქმე საბერძნეთში. შემთხვევითმა ტყვიამ მოზარდი მოკლა და დაანგრიეს ქვეყანა, სანამ სამართალი არ აზეიმეს. ჩვენ დაგვიხოცეს ბავშვები, დაგვიკარგეს ტერიტორიები და რა? პოლიხრონიონის მომღერალთა ერთი ჯგუფი შეცვალა მეორემ.

● ლამინირება მაინც გაუკეთონ, თავი არ გაეკაწროს.

● ისე, ვერ გამიგია, რატომ იწვევს ეჭვს მელიას ძირძველი თბილისელობა — თუ ხოხბები დაფრინავდნენ თბილისში, ვითომ რა, მელიები არ იქნებოდნენ?

● როგორც ვიცი, თბილისის მეროლობაზე ვაშაძის კანდიდატურის საწინააღმდეგოდ მელიას უჭერდნენ მხარს ნაციონალური მოძრაობის თბილისის მეერიის და გამგეობების შემადგენლობები. არაადეკვატური არჩევანი გქონიათ, პატივცემულებო! ვერც ვაშაძე მოიგებდა, მაგრამ მინიმუმ ძველი ბიჭივით მაინც არ ილაპარაკებდა. მოკლედ, რა მინდოდა მეთქვა: წავიდა თქვენი მატარებელი, ბიძიკოებო!

● ეს გზა დეპრესიამდე მიმიყვანს?

● ევროპელი თეფშს პურით არ მოლოკავს იმიტომ, რომ მისთვის ბავშვობაში არავის უსწავლებია, თეფში მოაპრიალე, თორემ მახინჯი ცოლი შეგხვდებაო.

● მე თუ მკითხავთ, მსოფლიო ჩემპიონატზე 0-0 თუ დამთავრდა თამაში, ორივე გუნდი უნდა გააგდო და ის გუნდი ჩასვა, ვინც ღირსეულად წააგო.

● დებატების ჩატარებამ „ნეიტრალურ ზონაში“ მიშისტ ტელევიზიებს წაართვა კიდევ ერთი პროვოკაციისა და შანტაჟის შესაძლებლობა. იკბინებოდა ხაფანგში გამომწყვდეული მელია და ისეთი უძლური იყო,რომ ყველაზე გაფუყფუყებული მხარდამჭერებიც კი შემოსწყრნენ. ახლა ხომ მიხვდით, ტელევიზიებში ჩამსხდარი უწიგნური ჟურნალისტების დანიშნულებას?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ყოველკვირეული ლიტერატურულ-კუბლიცისტური ჩანართი №221

მოქვი – იმედის ტაძარი

9 ივლისს, აფხაზეთის ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციის ინიციატივით, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და საპატრიარქოს ტელევიზია **„ერთსულოვნების“** მხარდაჭერით, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში შედგა პრემიერა დოკუმენტური ფილმისა **„მოქვი“**, (ფილმის ავტორი – **მართა კასრაძე,** რეჟისორი **ლევან ქიქავა,** მუსიკალური გამფორმებელი **ია საკანდელიძე**, იდეის ავტორი – **შერმადინ შარია).**

ეს არის სულიერი თვალით დანახული მოქვის დღევანდელი მდგომარეობა და მისი მომავალი. ფილმში მრავალმხივადაა განხილული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში შემავალი მოქვის სამღვდელმთავროს საკათედრო ტაძრის ქართულობა. მოიცავს საეკლესიო სამართალს, ისტორიას, არქიტექტურას, კედლის მხატვრობას, ადგილობრივი სკრიპტორიუმის მუშაობას, ჭედურ ხელოვნებასა და ეპიგრაფიკას. წარმოდგენილია, როგორც ქართული, ისე არაქართული წყაროები – უტყუარი საბუთები ამ უძველესი ეპარქიის საქართველოს ეკლესიის კუთვნილებისა.

ფილმის პრეზენტაციის შემდეგ ვესაუბრეთ ავტორს – საპატრიარქოს ტელევიზია **„ერთსულოვნების“** საღვთისმეტყველო გადაცემათა რედაქტორს, ქალბატონ **მართა კასრაძეს.** ვთხოვეთ, თავისი კვლევის ძირითად შედეგებზე ესაუბრა.

მართა კასრაძე:

*უპირველს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო **მანგლელ მიტროპოლიტ ანანიას(ჯაფარიძე),** რომელიც დიდ შრომას ეწევა საქართველოს ეკლესიის რეალური ისტორიის დადგენისა და პოპულარიზაციისათვის და მჭიდროდ თანამშრომლობს ჩვენს ტელევიზიასთან. მისი კონსულტაციები ძალიან ფასეული გახლდათ.*

*ფილმზე მუშაობისას ძალზე საინტერესო რამ გამოიკვეთა: შეუძლებელია, ისაუბრო მოქვის ტაძარზე და გვერდი აუარო აფხაზეთის საკათალიკოსოს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული ერთეული იყო საქართველოს ეკლესიისა, შექმნილი ეპარქიათა მართვის გაადვილების მიზნით. ასეთი ტრადიცია მხოლოდ საქართველოში არსებობდა, როცა არქიეპისკოპოსოს საკათალიკოსო ეწოდებოდა. რეალურად იგი წარმოადგენდა სამღვდელმთავროს, რომელიც ექვემდებარებოდა უხუცეს, უპირატეს კათალიკოსს – მცხეთის პირველიერარქს. ერთიან ივერიის ეკლესიაში კათალიკოსის წოდება შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების მიტროპოლიტის წოდებას. როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტებს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავიანთი ეპისკოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს – აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს – დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრები. ორივე მათგანი კი ერთიანი საქართველოს ეკლესიის მხოლოდ საეკლესიო-ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. სწორედ ამას გულისმობდნენ XVII საუკუნის იერუსალიმელი პატრიარქები დოსითეოსი და ხრისანთი, როცა წერდნენ: **„იბერიაში არსებობს ორი არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს. ასე მათ მხოლოდ იბერიაში უწოდებენ“.***

*მიჭვინთის ღვთისმშობლის, იმავე აფხაზეთის საკათალიკოსოს მრევლი, ანუ წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის მიერ მოქცეული მთელი დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო, კულტურული და საეკლესიო ენა უძველესი ხანიდანვე მხოლოდ ქართულია. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ **დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მნიშვნელოვანი ტაძრები: დრანდა, ბედია, ლიხნე, მოქვი და ბაგრატი ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა აგებული.** ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში ყოვლადწმინდა ქალწულის თაყვანისცემის ტრადიცია და მისდამი სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ აგვისტოს ქართველებმა მარიამობისთვე უწოდეს, ხოლო ყოვლადწმინდა ქალწულის მიძინების დღესასწაულს დღემდე მარიამობად ვიხსენიებთ. რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი? ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომ დედა ღვთისამ მიძინების წინ მაცხოვრისგან კაცობრიობის უპირობო წყალობა გამოითხოვა:*

„ყოველი კაცი, რომელი გხადოდის, ანუ გევედრებოდის, ანუ სახელ-სდვას სახელსა მხევლისა შენისასა, მოეც მათ შეწევნაი“.

ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი შეეცადა, ბევრი ასეთი წყარო გამოეტანა მაყურებლისთვის თვალსაჩინოდ, რაც კიდევ უფრო უდავოს ხდის ამ უძველესი ეპარქიის საქართველოს ეკლესიის კუთვნილებას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ეკლესია იმართება საეკლესიო სამართლით, რომელიც ემყარება წმინდა მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებს. ავტოკეფალური ეკლესიის თვითმყოფადობა სწორედ ამ კანონთა ძალითაა განსაზღვრული. მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები დღემდე მოქმედია. ამა თუ იმ ეკლესიის იურისდიქციის დარღვევის შემთხვევაში სასჯელიც შესაბამისია. საქართველოს ეკლესიისთვის ამ ძირძველი ეპარქიის ჩამოჭრის მცდელობა, რაც დღეს ხდება, არღვევს მოციქულთა 34-ე და 35-ე, I მსოფლიო კრების მე-15, მე-16, III მსოფლიო კრების მე-8, IV კრების მე-5 და მე-20 კანონებს. ყველა მათგანი მიუთითებს, რომ ეპისკოპოსებს უფლება ენიჭებათ, იმოქმედონ თავიანთი ეპარქიის ფარგლებში და არ გადავიდნენ სხვა ეპარქიის იურისდიქციაში, არ მითვისონ მისი კუთვნილი ქონება, თუნდაც ეს საერო ხელისუფალთა ბეწოლით ხდებოდეს.

ნი ილაშქრებდა საეკლესიო კანონმდებლობის დარღვევის გზით სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფისა და იზოლირების მცდელობის წინააღმდეგ. რუსეთის ეკლესიამ რეალურად იგრძნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოახლოება და ცხუმ-აფხაზეთის ძირძველი ეპარქიის საქართველოს ეკლესიისგან ჩამოჭრას შეეცადა. სწორედ ამ დროს დადგა დღის წესრიგში მისი ყუბანის ოლქთან გაერთიანების საკითხი. მაშინ დღევანდელი აფხაზების წინაპრებმა რუსეთის სინოდს მიმართეს:

„სარწმუნოებრივ ინტერესთა დაცვის გამო, გთხოვთ, არ გამოგვთიშოთ და არ გამოგვყოთ ძველადვე არსებული წყობიდან, რომელიც შექმნილია საუკუნეთა განმავლობაში ქართველებისა და აფხაზების ისტორიული და კულტურული ცხოვრების მიერ“

გაზეთი „სამშობლო“, 1916 წელი, №22.

სწორედ აფხაზთა ამ იმედისმომცემი სიტყვებით სრულდება ფილმი. იქნებ საუკუნის შემდეგ ისევ გულისხმაჰყონ აფხაზებმა ჩვენთან ისტორიულ-კულტურული ერთობის სასიცოცხლო აუცილებლობა.

საეკლესიო სამართალზე განსაკუთრებული აქცენტების გაკეთება მნიშვნელოვანია, რადგან ნებისმიერი ისტორიკოსისა თუ ხელოვნებათმცოდნის ყველაზე კომპეტენტურ მოსაზრებაზე ზემდგომი საღვთო კანონმდებლობაა.

ფილმის დასრულების შემდეგ მეცნიერთა პროფესიონალური დისკუსია გაიმართა. გამოითქვა მრავალი კომპეტენტური და სამომავლოდ გასათვალისწინებელი აზრი. საინტერესო იყო ბატონ **ოთარ ჟორდანიას** (თედო ჟორდანიას შთამომავლის) გამოსვლა. იგი ბიოგრაფიულადაა დაკავშირებული აფხაზეთთან, სწორედ მოქვის ეზოში გაუტარებია თავისი ბავშვობა. ბატონი ოთარი რეალური მოწმეა, თუ როგორ თანდათანობით და მიზანმიმართულად ხდებოდა, ჯერ კიდევ მშვიდობიან პერიოდში, მოქვისა და მისი შემოგარენის ქართული იერსახის შეცვლა.

დასასრულს მან ფილმის შემქმნელებს მიმართა: **„დიდი შრომაა გაწული გადამღები ჯგუფის მიერ. პრობლემა მრავალი ასპექტითაა წარმოჩენილი და, რაც მთავარია, ქართული სულითაა სავსე.. ამისთვის დიდ მადლობას გიხდით“.**

ემოციური და მრავლისმოქმელი იყო არქიტექტორ-რესტავრატორ **მურთაზ ურიდიას** სიტყვა, რომელიც 80-იან წლებში მოქვის ტაძრის რესტავრატორთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ ჯგუფის დამსახურებაა მოქვის ავთენტურობის შესძლებისდაგვარად შენარჩუნება.

აფხაზეთის თემის აქტუალობას სამწუხაროდ, არც დრო, არც ვითარება ანელებს. ყოველი დღე თითქოს ახალი გამოწვევის წინაშე გვაყენებს. მთავარი კი ალბათ ის არის, რომ არალოზუნგურად, არამედ ნამდვილად „გვახსოვდეს აფხაზეთი“ ისე, როგორც ამგვარ მეცნიერებს, ამ ფილმის ავტორებს სტკივათ და ეს თემა არასოდეს გადაიქცეს მხოლოდ წარსულის ისტორიის კუთვნილებად.

კახა ძორიძე.

ფრაგმენტი ფილმიდან „მოქვი“

საეკლესიო სამართალზე განსაკუთრებული აქცენტების გაკეთება მნიშვნელოვანია, რადგან ნებისმიერი ისტორიკოსისა თუ ხელოვნებათმცოდნის ყველაზე კომპეტენტურ მოსაზრებაზე ზემდგომი საღვთო კანონმდებლობაა.

„ჩემო პატარა ემხვარო! ჩემს ნაწარმოებში „მთვარის მოტაცება“ შენი მამის პროტოტიპად მთავარი გმირი, ჩემი საყრმის მეგობარი, კეთილი აფხაზი არზაყან, იგივე დიმიტრი ემხვარი გამოვხატე,რომელთანაც გავატარე პარიზში ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილი დღენი.

ენგურის დიდ ზვირთებთან ბრძოლაში დავამარცხე, ვინაიდან მისი მიზნების განხორციელება არ ძალმიძდა. გიუი ენგურის ზვირთებთან შეტაკება ეს მისი იდეების შებრძოლება იყო... მისი იდეალისა და არსებული მიმდინარეობისა... მომიტევეთ...

კონსტანტინე გამსახურდია.

გთხოვთ, დამდოთ პატივი და ამ ამბავს ჩემს სიკვდილამდე პუბლიკაციას ნუ მისცემთ. თქვენი კ. გამსახურდია
1934 წელი

არზაყან ემხვარი

ბარათის ადრესატი არზაყან ემხვარის ვაჟიშვილი ნოდარ ემხვარი გახლავთ და ხელნაწერის დედანი მათივე საოჯახო რელიკვიაა ...

აფხაზეთის მთავრობის პირველი თავმჯდომარის, დიდი ეროვნული მოღვაწის არზაყან ემხვარის არქივის თავმოყრა, კატალოგიზაცია, შესწავლა და შემდგომ უკვე გამოცემა ემხვარების ამ შტოს პირდაპირმა შთამომავალმა, ქართულ-აფხაზური საკითხების მკვლევარმა, არასამთავრობო ორგანიზაციის „პირისპირ“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, მშვენიერმა აფხაზმა ქალბატონმა **ნატო მარშანიამ** ითავა.

წიგნს გულწრფელი გამოხმაურებები, გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია და მრავალი აღმატებული ფრაზაც მოჰ ყვა, მაგრამ ვფიქრობთ, ამ უნიკალურ მასალას, ლევილის ქართველთა საძვალეში დასვენებული აფხაზეთის მთავრობის პირველი მეთაურის იდეების სწორად წაკითხვას და გაგებას არა მარტო ქართველები, და ისიც ძალიან ვიწრო წრე, უნდა ვცდილობდეთ. ეს დოკუმენტები, იმედია, როდესმე სხვადასხვა ენაზე ითარგმნება და გამოქვეყნდება, სათანადო კომენტარებით, რაც ჩვენს წაგებულ საინფორმაციო ომებს გარკვეულწილად მაინც ჩაანაცვლებს... ამგვარი დოკუმენტებით, დროის რეალიებით და საოცარი ისტორიებით უნდა დაინტერესდეს ქართული კინოდოკუმენტალისტიკა, გამოიძებნოს სპონსორები და ბოლოს, რაც მთავარია, სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად იქცეს.

„ეს ეტაპზე ოპტიმიზმი რთულია და ვფიქრობ, ასეთ ვითარებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო დიპლომატიას. სამწუხაროდ, ეს პროცესი ვერ წავიყვანეთ წინ. დიალოგი არ არსებობს. არ არსებობს ერთობლივი პროექტები.

უენესკოს ოფიციალურ შეხვედრებზე კი მესამე მხარე გვიშლის ხელს, ყველაფერს აკეთებს, რომ სიტუაცია უფრო დაიძაბოს.

ერთადერთი, რაც ძალიან ქმედითად მუშაობს, ეს არის ჩვენი ჯანდაცვა. ჯანმრთელობის სამინისტროს ჰყავს სპეციალური რეანიმობილები, რითაც უმძიმესი ავადმყოფები გადმოჰყავთ აფხაზეთიდან თბილისის საავადმყოფოებში. მათ შორის უამრავი აფხაზი ბავშვია. აფხაზებს საქართველოში უტარდებათ უფასო და კვალიფიციური მკურნალობა.... ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რამ.

საერთოდ, ჩვენის მხრივ კიდევ ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი. ვთქვათ, კულტურის სამინისტროსთან ხომ არსებობს ჩერქეზული კულტურის ცენტრი. რატომ არ უნდა იყოს აფხაზური ცენტრი? აქ უნდა გაახმაურონ მეცნიერთა კვლევების შედეგები, ახალგაზრდები უნდა ერთმანეთს ხვდებოდნენ, ვნახულობდეთ ფილმებს, ვისმენდეთ საინტერესო ადამიანთა საუბრებს... გაკეთდეს ვრცელი ექსპოზიცია-სტაციონარული გამოფენა ნამდვილი დოკუმენტებით და ფოტოებით. ნუ იქნება პოლიტიზირებული გარემო....

ჩვენ აქ, აფხაზები ერთმანეთს ვერ ვხედავთ...ასე უერთმანეთოდ იზრდებიან თაობები... აუცილებელია მეტი კონტაქტები, შეხვედრების ადგილები... შეხვედრებში იბადება იდეები...

* * *

ილუზიაა, რა თქმა უნდა, დავიჯეროთ, რომ სეპარატისტი აფხაზი მშვიდად და უკრიტიკოდ წაიკითხავს არზაყან ემხვარის ფრაზას: **„ვინც საქართველოს და აფხაზეთის ისტორიას იცნობს, მისთვის წარმოუდგენელია მათი განცალკევების თუნდაც უბრალო წარმოდგენაც“**... მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ და სხვამაც იცოდეს ჩვენი და მათი ურთიერთობების ნამდვილი ისტორია...

„სამშობლოს დამკარგავი ყველაფერს კარგავს“

აფხაზური ანდაზა

არზაყან ემხვარი

 წინა ხელისუფლების დროს არზაყან ემხვარის (მსგავსად ქაქუჩა ჩოლოყაშვილისა), ლევილიდან თბილისში გადმოსვენების იდეა გაუღერდა. შთამომავლები არ დათანხმებულან... მერამდენეჯერ უნდა „დაობლდეს“ ლევილი? არ არის გამართლებული ძვალთშესალაგის ხელყოფა თუნდაც ძალიან კარგად დადგმული სანახაობისთვის...იქნებ დადგეს დრო, რომ ,,პუნისა და სანახაობის“ ნაცვლად ადამიანები სიმართლეს აზიარონ, ყოველგვარი ეგზალტირებული შეძახილებისა და პათოსის გარეშე...

გთვაზობთ არზაყან ემხვარის პირადი წერილის ფრაგმენტს შვილისადმი, საქართველოში გაგზავნილს ემიგრაციიდან:

...მე ვფიქრობ, რომ შენი იდეალი – მიზანი იყო და არის შეიმუშავო საკუთარ არსებაში მთლიანი – სრული ადამიანი, რომელსაც შეძენილი საიდუმლო იარაღი – ცოდნით შეუძლია ვალი მოუხადოს საზოგადოებას, რომლის შვილიც ისაა და აგრეთვე დაიკმაყოფილოს თავისი ადამიანური მოთხოვნილებები: ამისთვის კი საჭიროა სწორი და ნათელი მსოფლმხედველობა, რაც მუშავდება, მხოლოდ როგორც სინთეზი სოციალური და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა შეხება-შედუღაბებით. მათემატიკური სწორი ცოდნა იმის თავდებია, რომ მეტაფიზიკური დოკტრინის შენებისთვის დროს არ დაკარგავენ; ამიტომ მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ შენ იქნები რა სოციალ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე. ჯეროვან ყურადღებას მიაქცევ მათემატიკურ ცოდნას ისე, როგორც საინჟინრო დარგიდან, ჩემი რწმენით, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდი სოციალურ მეცნიერებებს. თავი და თავია ამ დროებით დასახული მიზნის – მეცნიერული ცოდნის მიღწევა-შექმნა, ხოლო შემდეგ მიზნის მიღწევისა კი საჭიროა ეს მიზანი საშუალებად, იარაღათ იქცეს, უფრო დიადი მიზნის – ვალის საზოგადოების წინაშე და პირადი ადამიანური მოთხოვნილების მისაღწევად და დასაკმაყოფილებლად... დიდი იდეალების მიღწევა – აი, რაში უნდა გამოიხატოს ნამდვილი უნარიანობა... ხოლო ვისთვის მიზანი მუდამ მიზნად რჩება და საშუალება – საშუალებად, ის ვერ გაშორებია მეტაფიზიკურ ჩმახვას. მისგან წინსვლას, წარმატებას კაცობრიობა ვერ მოესწრება... შენ ეძებ „სცნა ჭეშმარიტება“, რათა „ჭეშმარიტებამ გაცხონოს“. ნათქვამია: „ეძიებდეთ და იპოვებდეთო“. მით უმეტეს, თუ ამ ძიების თანამგზავრია გონიერება, შრომა და მოთმინება, რითაც შენ ბუნებამ დიდად დაგაჯილდოვა... ვიმეორებ, შენ მიაღწევ დასახულ მიზანს...

და ბოლოს, ეპოქებს ადამიანები, პიროვნებები ქმნიან. ის მართლაც სხვა დრო იყო, რაზეც დანანებით საუბრობდა გენერალი შალვა მაღლაკელიძე: „აფხაზეთი თუ შეგვრჩა, ითვლება, რომ არზაყანის წყალობით“.

ვინ და როგორ გააგრძელებს არზაყან ემხვარის გზას?..

ნინო ვანიძე.

ნატო მარშანია: *ამ ეტაპზე ოპტიმიზმი რთულია და ვფიქრობ, ასეთ ვითარებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო დიპლომატიას. სამწუხაროდ, ეს პროცესი ვერ წავიყვანეთ წინ. დიალოგი არ არსებობს. არ არსებობს ერთობლივი პროექტები.*

უენესკოს ოფიციალურ შეხვედრებზე კი მესამე მხარე გვიშლის ხელს, ყველაფერს აკეთებს, რომ სიტუაცია უფრო დაიძაბოს.

ერთადერთი, რაც ძალიან ქმედითად მუშაობს, ეს არის ჩვენი ჯანდაცვა. ჯანმრთელობის სამინისტროს ჰყავს სპეციალური რეანიმობილები, რითაც უმძიმესი ავადმყოფები გადმოჰყავთ აფხაზეთიდან თბილისის საავადმყოფოებში. მათ შორის უამრავი აფხაზი ბავშვია. აფხაზებს საქართველოში უტარდებათ უფასო და კვალიფიციური მკურნალობა.... ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რამ.

საერთოდ, ჩვენის მხრივ კიდევ ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი. ვთქვათ, კულტურის სამინისტროსთან ხომ არსებობს ჩერქეზული კულტურის ცენტრი. რატომ არ უნდა იყოს აფხაზური ცენტრი? აქ უნდა გაახმაურონ მეცნიერთა კვლევების შედეგები, ახალგაზრდები უნდა ერთმანეთს ხვდებოდნენ, ვნახულობდეთ ფილმებს, ვისმენდეთ საინტერესო ადამიანთა საუბრებს... გაკეთდეს ვრცელი ექსპოზიცია-სტაციონარული გამოფენა ნამდვილი დოკუმენტებით და ფოტოებით. ნუ იქნება პოლიტიზირებული გარემო....

ჩვენ აქ, აფხაზები ერთმანეთს ვერ ვხედავთ...ასე უერთმანეთოდ იზრდებიან თაობები... აუცილებელია მეტი კონტაქტები, შეხვედრების ადგილები... შეხვედრებში იბადება იდეები...

* * *

ილუზიაა, რა თქმა უნდა, დავიჯეროთ, რომ სეპარატისტი აფხაზი მშვიდად და უკრიტიკოდ წაიკითხავს არზაყან ემხვარის ფრაზას: **„ვინც საქართველოს და აფხაზეთის ისტორიას იცნობს, მისთვის წარმოუდგენელია მათი განცალკევების თუნდაც უბრალო წარმოდგენაც“**... მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ და სხვამაც იცოდეს ჩვენი და მათი ურთიერთობების ნამდვილი ისტორია...

ეროვნული ენციკლოპედიის ინსტიტუტი

◎ გურამ რჩეულიშვილი – 80

(მწერლის არქივიდან)

1959 – თბილისი

მე მომერია დიდი სურვილი დავწერო
ჩემი ბიოგრაფია,
პირობას გიდებთ არ ვიქნები ორიგინალური,
ვეცდები ვიყო მორიდებული ზედმიწევნით
და თავმდაბალი,
საუკეთესო ჩემს თვისებებს მიეკუთვნება –
და მის შესახებ მე თვითონ ვიტყვი ორიოდ სიტყვას:
არა ვყოფილვარ არასოდეს რეპორტიორად,
არა ვყოფილვარ ასოთამწყობი,
არ განმიცდია ასოების, ლაქის სუნის და
ახლად გამოსული გაზეთების არომატი,
არც დიდ ქუჩებში მიმუშავია
ფეხსაცმლის მწმენდავად,
წარმოიდგინეთ აფრიკაშიც კი არ ვყოფილვარ
და ლომიც კი არ მომიკლავს.
და ამის შემდეგ, ალბათ, აღარც
გაგიკვირდებათ,
რომ არ მყოლია მეგობარი
არც კონდუქტორი, არც შოფერი, არც ლოთი, არც შფოთი,
არც ჯიბგირი, არც გოღი, არც ბოზი,
არც მღვდელი, არც ზანგი, არც კომუნისტი,
არც სომეხი, არც რუსი,
არც დანტე, არც უიტმენი, არც ტოლსტოი.
მიყვარდა მხოლოდ ბედისწერა
როგორც ერთობა კაცისა და ბუნების
ყველა კანონების,
მიყვარდა მეფე ოიდიპოს
თავისი ვნებით, თავისი ბედით,
დანიის პრინცი ჰამლეტის ყველა სისუსტეები
და ჩაილდ ჰაროლდის მოწყენილობა.
მიყვარდა ნაპოლეონი თავისი პოზით,
მიყვარდა ჰიტლერი თავისი სიგიჟით
და მიყვარს ლენინი – რატომ არ ვიცი!?
მიყვარს მწვანე ბალახი თავისი სიჩუმით
და კაცი თავისი ნერვიული ხმით,
წინასწარმეტყველში მიყვარს
მისი კაცური ტანჯვა
და არა მისი წინასწარჭვრეტა,
კაცში არ მიყვარს თავმდაბლობა,
ძაღლში კი ის, რომ ყეფა არ იცის.
მე ვიცი:
ცოცხალ სამყაროს აქვს ორი ხმა:
კაცის და მხეცის.
ო, რუსთაველო, მესხო მელექსევ,
ერთიანი მსოფლიოს
პირველო პოეტო,
ჩემო სამშობლოვ, საქართველო,
მცხოვრებო ცხოვრებით
მთელი მსოფლიოსი.
დიდო სამყაროვ, რატომ გარიყე ის,
ვინც ყველაზე მეტად ცხოვრობს შენით,
გრძნობს შენს თავს, გამოგხატავს შენ,
მღერის შენზე, გრძნობებზე,
ომში ვაჟკაცობაზე,
სიყვარულზე, მეგობრობაზე,
გრძოლაში მშვიდობაზე,
მღერის ისე, რომ მხოლოდ სოფოკლე
და შექსპირი
იყვნენ ღირსი ქართველობის.
ო, ბედისწერავ, უსამართლო თუ სამართლიანო,
რატომ ტოვებ ჩრდილში
რუსთაველს და საქართველოს,
რატომ? რატომ? რატომ?!
ხომ არ გეშინია შენი თავის?!
აქ არის ყველაზე მეტი პრანჭია,
ყველაზე მეტი უსაქმური,
ყველაზე მეტი მშიშარა,
აქ არ არის კონტრასტი!
აქ არიან მხდალები და ნიჭიერები,
აქ არიან არტისტები ცხოვრებაში,
უიღბლოები ნამდვილ სცენაზე,
აქ არიან უხმო მომღერლები,
დამალეთ, დამალეთ, დამალეთ
ეს ქვეყანა!

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

შევარდნაძის მემკვიდრეობა

რადიო „თავისუფლების“ ყოფილი დირექტორი ენდერს უიმბუში, რომელიც ახლოს იცნობდა ედუარდ შევარდნაძეს, თავს მის დიდ თაყვანისმცემლად მიიჩნევს.

„არ უნდა დავივიწყოთ, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე — იყო ერთ-ერთი მეტად მკაცრი სისტემის შვილი, სადაც ადვილი როდი იყო ცხოვრება. აი, სად ისწავლა მან პოლიტიკა... ამავე დროს იგი იყო გასაოცრად თბილი ადამიანი, იუმორის უზარმაზარი გრძნობით“, — ამბობს უიმბუში.

რადიო „თავისუფლების“ ყოფილი დირექტორი ენდერს უიმბუში იხსენებს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ საბჭოთა და ქართველ პოლიტიკოსს

შევარდნაძე უიმბუშს დაამახსოვრდა, როგორც გაბედული ადამიანი, მაგრამ რომელსაც შეეძლო, „ჩაეხედა თავის თავში“ პასუხების საძიებლად მის წინაშე დასმულ საკითხებზე. ეს საკითხები კი იყო მძიმე, განსაკუთრებით 1991 წლის შემდეგ, როდესაც, ენდერს უიმბუშის აზრით, ქართველი პოლიტიკოსი ლა-



მის ყოველდღე ეკითხებოდა თავს, თუ რას მიაღწია, რამდენად შეესაბამება ეს იმ გზას, რომლითაც უნდა იაროს საქართველომ, და როგორია მისი შემდგომი როლი.

„მან ძალიან კარგად იცოდა მოსმენა, — იგონებს უიმბუში ამერიკის ხმის ქართული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში. — ის ჯდებოდა და გისმენდა, გისმენდა, გისმენდა... ინგლისური ცოტა იცოდა, მაგრამ ძირითადად — კარგი მთარგმნელების დახმარებით. აკეთებდა ბევრ, ძალიან ბევრ შენიშვნებს და ჩანაწერებს, შემდეგ გაძლევდა ძალიან ღრმა, გამჭოლ შეკითხვებს ყველა იმ ლიდერთან შედარებით, ვისთანაც მე საქმე მქონია“.

ედუარდ შევარდნაძემ დიდი მემკვიდრეობა დატოვა, რომლის თითოეული აქსპექტიც უკიდურესად მნიშვნელოვანია, მიაჩნია იუმბუშს. ჯერ ერთი, ესაა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი, შემდეგ სსრ კავშირის საგარეო ურთიერთობათა დაშლის პერიოდი საბჭოთა კავშირში. ამერიკელ ექსპერტს მიაჩნია, რომ შევარდნაძის როლი ყოველივე ამ საქმეში იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი.

„მიხეილ გორბაჩოვი, — აღნიშნავს უიმბუში, **— თავისი მმართველობის ბოლოს გახდა გაცილებით უფრო ავტორიტარული ხელმძღვანელი, რომელიც ცდილობდა, ხელში სჭეროდა და მოეხდინა სსრ კავშირის რეფორმირება. შევარდნაძეს კი მიაჩნდა, რომ ყველაფერი დამთავრდა. და იგი ამის შესახებ ეუბნებოდა გორბაჩოვს — ისევე როგორც იმას, რომ მას მხარს არ დაუჭერდა. და ეს იყო დასასრული. ბევრმა მიზეზმა გამოიწვია სსრ კავშირის დაცემა, მაგრამ შევარდნაძე, როგორც არავინ სხვა, მუშაობდა ამ ქვეყნის ფორმირებაზე. ის იყო დიდი პოლიტიკოსი, ბრწყინვალე სტრატეგი, უნარიანი ხელმძღვანელი. ერთ-ერთი უდიდესმი იმ პერიოდი ორ ადამიანს შორის“.**

შევარდნაძის მემკვიდრეობის მეორე ნაწილი — ესაა მუშაობა პოსტსაბჭოურ საქართველოში, რომელსაც იგი სათავეში ედგა, როდესაც ქვეყანაში ფაქტობრივად აღარ არსებობდა ეკონომიკა, გამეფებული იყო ქაოსი. **„რაღაცის შეცვლა მან შეძლო, რაღაცისა — ვერა,** — შენიშნავს უიმბუში. **— რაღაცაში მას დღემდე ბრალს სდებენ, და, შესაძლებელია, იგი პასუხისმგებელია ამისთვის. ძნელი სათქმელია, მაგრამ როდესაც მოვიდა „ვარდების რევოლუცია“, მისი მემკვიდრეობის ეს ნაწილი დარჩა სამუდამოდ. ის წავიდა სცენიდან, დაუბრუნდა კერძო ცხოვრებას და თქვა, რომ თავისი როლი შეასრულა. სად გინახავთ, რომ ყოფილი კომუნისტური ლიდერი არაფერს აკეთებდეს, რათა ჩაეჭიდოს ხელისუფლებას რაც შეიძლება დიდხანს?“**

უიმბუში ხაზგასმით აღნიშნავს: **სწორედ შევარდნაძემ გამოზარდა ქართველ პოლიტიკოსთა ის ახალი თაობა, რომელმაც იგი შეცვალა. მათ შორის მიხეილ სააკაშვილიც, რომელმაც იგი ხელისუფლებიდან გადაყენა.**

VOA
Voice of America

საქართველომ ნატოსთან დაახლოების დონე შეამცირა

საქართველოს **პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი არ გაემგზავრება უელსში ნატოს მომავალ სამიტზე — მთავრობის მეთაურის ნაცვლად, რომელსაც რეალური ხელისუფლება უჭირავს, საქართველოს იქ წარმოადგენს პრეზიდენტი, რომელიც წმინდა სიმბოლური ფიგურაა. თბილისში მიაჩნიათ, რომ პრემიერის უარი არის „დიპლომატიური დემარში“ ალიანსის გადაწყვეტილების გამო არ მიანიჭოს საქართველოს ნატოს წევრობის „საგზაო რუკა“. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ პრემიერი უგზავნის სიგნალს მოსკოვსაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ნორმალიზაციის მცდელობის თვალსაზრისით.**

პრემიერის ნაცვლად სამიტზე პრეზიდენტი გაემგზავრება

პრემიერის გადაწყვეტილების შესახებ — არ წავიდეს უელსის სამიტზე — განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ. **„პრემიერ-მინისტრმა და მთავრობამ თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ნატოს სამიტზე გაემგზავრება პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი,** — განაცხადა ქალბატონმა ფანჯიკიძემ და დაუზუსტა: **— საქართველოს დელეგაცია პრეზიდენტის ხელმძღვანელობით მონაწილეობას მიიღებს შეხვედრაში, რომელიც ავღანეთში ნატოს ოპერაციას ეძღვნება“.**

პრემიერის უარი, არ წავიდეს უელსის სამიტზე, ერთი შეხედვით, უცნაურად გამოიყურება, უკანასკნელ პერიოდში მთავრობის ხელმძღვანელი თანამიმდევრულად ითვისებს იმ მცირე სახელისუფლებო უფლებამოსილებას, რომლებიც კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფოს მეთაურს რჩებოდა. ივნისში ირაკლი ღარიბაშვილმა, არსებითად, აუკრძალა პრეზიდენტს, ხელი მოაწეროს შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციირების შესახებ და პირადად გაემგზავრა ბრიუსელში ევროასოციაციის გასაფორმებლად. თანაც პრეზიდენტი დელეგაციის შემადგენლობაშიც არ ყოფილა.

ამიტომ პრემიერის ახალი გადაწყვეტილება თბილისში შეაფასეს, როგორც დიპლომატიური დემარში. მით უმეტეს, რომ მთავრობამ გამოაცხადა ამის შესახებ საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის ვიზიტის შემდეგ, რომელმაც დაადასტურა: სექტემბრის სამიტზე თბილისს შეუძლია, იქონიოს იმედი მხოლოდ „გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტზე“, რომელიც ითვალისწინებს „ნატოს კავშირის ოფისის“ პერსონალის გადიდებას, მაგრამ არა „საგზაო რუკას“ ალიანსში შესასვლელად.

„პრემიერი აშკარად უკმაყოფილოა ალიანსის ლიდერების პოზიციით, — განმარტა ჩვენთან საუბარში საქართველოს დიპლომატიური აკადემიის რექტორმა იოსებ ცინცაძემ. — **და იგი ამით თითქოს თავის დასავლელ პარტნიორებს ეუბნება: თუ სამიტზე საქართველოსთან დაკავშირებით თქვენ ღებულობთ მხოლოდ სიმბოლურ გადაწყვეტილებას, მაშინ მეც გამოვაგზავნი თქვენთან სიმბოლურ ფიგურას — პრეზიდენტს“. ჩვენმა თანამოსაუბრემ არ გამორიცხა, რომ პრემიერის კიდევ ერთი მოტივი შეიძლება გახდეს სურვილი, შეინარჩუნოს პოზიციები ქვეყნის შიგნით. „ის გაემგზავრა ბრიუსელში ევროასოციაციის შესახებ ისტორიული დოკუმენტის ტრიუმფალური გაფორმებისთვის, მაგრამ არ მიემგზავრება უელსში საქართველოსთვის აშკარად წამგებიან სამიტზე“,** — ამბობს იგი.

ოპოზიციამ კი პრემიერის გადაწყვეტილება, უარი თქვას ნატოს სამიტზე წასვლაზე, კიდევ ერთი **„მესამე ფსკერია“. „იგი მოსკოვს უგზავნის სიგნალს,** — მიაჩნია ექსპრეზიდენტ საკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერს დავით დარჩიაშვილს. **— მოსკოვმა ხომ ნება მისცა მას ხელი მოაწეროს ევროასოციაციას, ნატოსთან ძალიან დაახლოება კი აუკრძალა“.**

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

„ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა ბაღდადიდან 80 კილომეტრში ხელში ჩაიგდეს სამხედრო ბაზა

ჯიხადისტები აგრძელებენ შეტევას ბაღდადზე და დაიკავეს ქალაქ მუკდადიას დიდი ნაწილი დიალის პროვინციაში. ამერიკელები კვლავ თავს იკავებენ პირდაპირი სამხედრო დახმარებისაგან. ექსპერტები სტენფორდიდან მიუთითებენ ბედის ირონიაზე ვაშინგტონისა და თეირანის კავშირთან დაკავშირებით ერაყის კრიზისში და ახდენენ ქვეყნის დანგრევის პროგნოზს.

მსოფლიოში არ უყვართ რუსეთი და არ ენდობიან პუტინს, აჩვენა PEW RASERCH CENTER-ის გამოკითხვამ

ყველაზე ცუდად რუსეთსა და პრეზიდენტ პუტინის ეპყრობიან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, აქ აგრეთვე ყველაზე მეტია ისინი, ვინც მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის მთავრობა პატივს არ სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. რეიტინგის ზრდა შეინიშნება თავად რუსეთში, ჩინეთში, ბანგლადესში, პალესტინის ავტონომიაში, ისრაელსა და ფილიპინებზე.

ირანის მიმართულებით სროლებს შეუერთდნენ ლიბანის ბოევიკები. ობამა შუამავლის როლს ასრულებს

კონფლიქტის ორივე მხარე ავლენს მზადყოფნას გაჭიანურებული ბრძოლებისათვის. „ჰამასი“ აცხადებს, რომ სროლები არ შეწყდება, სანამ „ისრაელელები არ გადაიხდიან ყველაფრისათვის“, ისრაელელი სამხედროები კი ამზადებენ სამხედრო ოპერაციას. ეგვიპტე, რომელიც საკვანძო როლს ასრულებდა მშვიდობიანი მოლაპარაკების ორგანიზაციაში, დროს აჭიანურებს, არ სურს ისლამისტების გაძლიერება.

ჩინეთში საბავშვო ბაღის ავტობუსის ავარიის შედეგად 11 კაცი დაიღუპა, მათ შორის 8 ბავშვია

მიკროავტობუსი, რომელსაც საბავშვო ბაღიდან ბავშვები სახლში მიჰყავდა, გაურკვეველი მიზეზებით გუბურაში ჩავარდა. მაშველებმა სალონში 11 კაცი აღმოაჩინეს, 8 ბავშვი 2 აღმზრდელი და მძღოლი. ამ დროს ამ სატრანსპორტო საშუალების ადგილების მაქსიმალური ოდენობა — 7 კაცია.

სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ ევროპაში

არცთუ ისე პატარა ოთახის ოთხივე კედელი რაფაელის ფრესკებით იყო მოხატული!!!

ყოფილი კარაბინერი უცებ ხელოვნებათმცოდნედ იქცა და საინტერესოდ მიამბო მოხატულობის ლამის დეტექტური ისტორია. მის იტალიურ ნაუბარს ინგლისურად დუილიო ფოსკი მითარგმნიდა, რომელსაც თვალებში ვერ ვუყურებდი, ისე მრცხვენოდა ჩემი ეჭვებისა და რამდენიმე წუთის წინანდელი ფიქრებისა.

ტარჩიზიო დე პაოლის ეს ბინა 1972 წელს უყიდია გუიდების ოჯახისაგან. ოჯახის უფროსი ჩივიტავეკიაში სკოლის დირექტორად უნდა გადმოსულიყო სამუშაოდ და ეს ბინა ამადაც შეიძინა. მაგრამ მისი გეგმები შეიცვალა, ჩივიტავეკიაში ის აღარ ჩამოსულა, ბინა კი ვერა და ვერ გაყიდა. ეს მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ მოახერხეს მისმა ქალიშვილებმა — ლინა, მარია და ჯიოვანა გუიდებმა.

ტარჩიზიო დე პაოლიმ ბინა სულ რაღაც 4 მილიონ ლირად შეიძინა, რაც, როგორც ფოსკიმ ამიხსნა, დღეს დაახლოებით 40 ათას ევროს უდრის. მერე ბინის ახალმა მფლობელმა რემონტი წამოიწყო და შეთეთრებული კედლის ერთ ადგილას ფერადი ლაქა აღმოაჩინა. მიჰყვა, მიჰყვა და... ყოფილი კარაბინერი მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად იქცა: მას ბინაში ერთი ოთახი მთლიანად რაფაელის მოხატულია!

მე ვიცი ოჯახები, სადაც ნამდვილი ფიროსმანი ჰკიდია კედელზე; მეგობარ სვანებს მათ სახლებში საიმედოდ დაცული უიშვიათესი და უძვირფასესი ხატები უჩვენებიათ; არიან კოლექციონერები, სახელიანი თუ ანონიმური, ვისაც რაფაელის ტილოები აქვთ კერძო კოლექციებში, მაგრამ ვინმეს სახლში რაფაელის ფრესკა, მეტიც — ფრესკები, ჰქონდეს, პირველად გავიგე და პირველად ვნახე!

ეს ბინა ყოველთვის ბინა როდი იყო. იმ პერიოდში, როცა რაფაელი ჩივიტავეკიაში ცხოვრობდა, აქ ეკლესია ყოფილა. რაფაელს იგი მოუხატავს, რათა რომის პაპისთვის თავისი შესაძლებლობები ეჩვენებინა და მისგან შეკვეთა მიეღო. მართლაც, რომპაპი იულიუს II ჩივიტავეკიაში ერთ-ერთი ჩასვლისას სწვევია იმ ეკლესიას, უნახავს ეს ფრესკები და რაფაელისთვის ვატიკანში თავისი დარბაზების მოხატვა დაუვალებია. რაფაელს, ფაქტობრივად, პირდაპირ გადაუტანია ეს კომპოზიციები ვატიკანში, უბრალოდ — ვატიკანური ვერსიები 40 სანტიმეტრით მეტია ჩივიტავეკიურ ესკიზებზე.

ამ ყველაფერს რომ მიამბობდა, უამრავი კითხვა მებადებოდა, რომელთა ნაწილზე იქვე მივიღე პასუხი, ნაწილი კი უპასუხოდ დამრჩა და ტარჩიზიო შემპირდა, რომ ელექტრონული ფოსტით გამომიგზავნიდა მისი (და რაფაელის!) ფრესკების მის მიერვე აღწერილ ისტორიას, რომელიც, ჩემდა გასაკვირად გამოუცემელია.

სხვამაც ბევრმა რამემ გამოიწვია ჩემი გაკვირვება:

რატომ და როდის შეათეთრეს რაფაელის ფრესკა?

რატომ არ ინტერესდება სახელმწიფო რაფაელის ამ უნიკალური ნამუშევრით და რატომ არ ზრუნავს მის დაცვაზე?

რატომ არ არის ჯეროვნად გახმაურებული ეს აღმოჩენა?

ფეისბუქის კედელი ყველაფერს ვერ დაიტევს. დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვ, ჩვენი პროექტის დასრულებას დაუცადოს და ყოველივე დაწვრილებით იხილოს ჩემს წიგნში „მოგზაურობა 300 წლის შემდეგ“.

მანამდე კი მინდა, ტარჩიზიოს ის ნაწერი დავუბეჭდო 200-300 ეგზამპლარად და საჩუქრად მივართვა მას თავისი მომავალი მუზეუმისთვის, რომლის გაკეთებასაც იგი, როგორც მითხრა, უახლოეს მომავალში აპირებს.

ჩემმა კეთილმა მასპინძელმა, რომელიც მაფიოზს ჰგავდა კი არა, სიმპათიურ და გულისხმიერ მეგობრად გადაიქცა, არათუ ფოტოსა თუ ვიდეოს გადაღების ნება დამრთო, ფრესკაზე ხელით შეხების უფლებაც მომცა.

ის კი არა, მერე მე და ფოსკი ერთი სართულით ქვემოთ, თავის ოთახში შეგვიპატიჟა ყავაზე. რაფაელით გაჯერებულს, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რომ იმ ოთახში კედლებზე ჩვეულებრივი შპალერი იყო გაკრული.

ტარჩიზიოს სათნო მეუღლემ, მარია-ტერეზამ ყავა შემოგვთავაზა. რომელი გნებავთო, იკითხა. მე ესპრესო ვარჩიე. ფოსკიმაც. მასპინძელმაც.

რა ყავა, რის ყავა, რაფაელი არ ამოდიოდა თავიდან. და თვალებიდან. და გულიდან.

კარგა ხანს ვილაპარაკეთ ტარჩიზიოს მომავალ მუზეუმზე. მერე ცოლ-ქმარმა სადარბაზოს კიბეებამდე გამოგვაცილა. სადარბაზო, აკი ვთქვი, ისეთი იყო, ჩვეულებრივი თბილისური სადარბაზო ზემოდან დაუწყებდა ყურებას.

ხოლო ამ საცოდავი სადარბაზოს მეოთხე სართულზე ერთი ოთახი რაფაელის მიერ გახლავთ მოხატული!

მეორე საღამოს ჩივიტავეკიაში მორიგ ფოტოგადაღებაზე გავედი. მშვენიერი განათება იყო. კიდევ ერთხელ ჩავუარე რაფაელისფრესკებიან სახლს და კიდევ გადავუღე რამდენიმე ათეული ფოტო.

— პაატა! — მომესმა უცებ.

ასე გამოკვეთილი ორი „ა“-თი ბონდოც კი არ მეძახის. მოვიხედე. ტარჩიზიო იყო. მეზობლებში მჯდარა. დავუნახივარ თავის ეზოში რომ შემოვედი და შემომყოლია. ქართულ-იტალიურ-ინგლისურად გავაბით ბაასი. ხელებს ვიხმარდით, რასაკვირველია.

ხვალ დილით გელოდებითო.

ჰო, 11-ის ნახევარზე-მეთქი.

ხვალ, 29 ივნისს უკვე მე მივუყვან ტარჩიზიოს სტუმარს. კახა სიხარულიძე 10 საათზე ჩამოვა რომიდან.

27 ივნისი
ჩივიტავეკია
99 წლით ადრე სულხან-საბამდე

ჰასეკურა ცუნენაგამდე წლების წინ ფარსმან ქველმა მიმიყვანა, დღეს კი — დუილიო ფოსკიმ.

როგორც ცნობილია,ფარსმან II ქველი, იბერიის ეს ძლევამოსილი მეფე 144 წელს რომის იმპერატორ ანტონინუს პიუსის მიწვევით მარადიულ ქალაქს ეწვია ოჯახთან და მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად. იბერიელებმა კოლიზეუმში გამართული მხედრული ჯირითით აღაფრთოვანეს მასპინძლები, იმდენად, რომ იმპერატორის ბრძანებით მარსის მოედანზე ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ბრინჯაოს ქანდაკება დადგეს. ამბავი შემორჩა, ქანდაკება კი, სამწუხაროდ, დაიკარგა. მრავალი წელია, მაწვალებს გიჟური თუ თავხედური იდეა — რომში, მარსის მოედანზე აღვადგინოთ ფარსმან ქველის ძეგლი.

ამ იდეის პრაქტიკულ პროექტად ჩამოსაყალიბებლად, საგანგებოდ შევისწავლე იტალიაში არსებული უცხოელთა ძეგლების ისტორია, გეოგრაფია და ქრონოლოგია. სწორედ მაშინ გადავაწყდი ჰასეკურა ცუნენაგას სახელს, რომელიც გარდა იმისა, რომ იაპონელი იყო, ჩემთვის იმითაც აღმოჩნდა საინტერესო, რომ მთელი საუკუნით ადრე იმავე მისიით იმოგზაურა ევროპაში, რა მისიითაც ეს 1714 წელს სულხან-საბამ გააკეთა.

მისი ძეგლი კი ჩივიტავეკიაში დგას და ჩვენი მოგზაურობის ფარგლებში მისი მონახულებაც მქონდა დაგეგმილი.

მეგონა, რომ ამ ძეგლის მიგნებას ჩივიტავეკიაში კარგა ხანს მოვუნდებოდი. არადა, პირველივე ადამიანი, რომელიც ამ ქალაქში გავიცანი, იაპონოფილი აღმოჩნდა და ჩივიტავეკიაში ჩასვლის უმალ თავად მიმაცილა ბრინჯაოს ჰასეკურა ცუნენაგამდე.

ეს იაპონელი სამურაი ჩემი მომავალი წიგნის „ახალი ქაღალდის წეროს“ ერთ-ერთი პერსონაჟია.

ცუნენაგა ქრონოლოგიურად პირველ იაპონელ დიპლომატადაა მიჩნეული. იგი 1571-1622 წლებში ცხოვრობდა და 1613-1620 წლებში ხელმძღვანელობდა დიპლომატიურ მისიას ვატიკანში, რომელიც იაპონიის ისტორიაში კეიჩოს ელჩობის სახელით შევიდა. მისიის მიზანი იყო, ესპანეთის მეფის მხარდაჭერა მოეპოვებინა და რომის პაპისაგან მისიონერები გამოეთხოვა იაპონიაში ქრისტიანობის გასავრცელებლად. სულხან-საბასი არ იყოს, ცუნენაგას მისიაც, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულდა და იაპონია მთელი ორსაუკუნენახევრის განმავლობაში იზოლაციონიზმის ტყვეობაში აღმოჩნდა. მომდევნო იაპონური ელჩობა ევროპაში მხოლოდ 1862 წელს გაიგზავნა.

ცუნენაგამ სულხან-საბაზე გაცილებით რთული და გრძელი გზა გაიარა ევროპამდე. იაპონიიდან იგი მაშინ ახალ ესპანეთად წოდებულ მექსიკაში ჩავიდა. პირველი ქალაქი აქ აკაპულკო იყო, ამას მოჰყვა მეხიკო, პუებლო და ვერაკრუსი, მერე — ჰავანა კუბაზე, უფრო მერე — გადასვლა ევროპაში — სანლუკარი, კორიადელ-რიო, სევილია, კორდობა, ტოლედო, მადრიდი, სარაგოსა, ბარსელონა ესპანეთში, სენ-ტროპე საფრანგეთში, სავონა, გენუა, ჩივიტავეკია და რომი იტალიაში.

სავონაში, გენუაში, ჩივიტავეკიასა და რომში 99 წლის შემდეგ სულხან-საბა ორბელიანიც ჩავა. ორბელიანი ჩავა აგრეთვე ფლორენციასა და ლივორნოში — ქალაქებში, რომლების უკანა გზაზე გაიარა მისმა იაპონელმა კოლეგამ და წინამორბედმა.

ესპანეთში ცუნენაგა კათოლიკურად მოინათლა და ასე წასდგა ჯერ ესპანეთის მეფის ფილიპე III-ის და შემდეგ რომპაპ პავლე V-ის წინაშე.

უკან იაპონელი დიპლომატი ისევ ესპანეთის, ისევ კუბის, ისევ მექსიკისა და ფილიპინების გავლით დაბრუნდა. იგი საბასავით წვერით არ უთრევიათ, მაგრამ არც მადლობა უთქვამთ. მისი მეუღლე და ორი ვაჟი კი ქრისტიანობის პროპაგანდისათვის აწამეს და სიკვდილით დასაჯეს. ცუნენაგა მაშინ უკვე მკვდარი იყო, იგი იაპონიაში დაბრუნების შემდეგ მალევე გარდაიცვალა.

ჰასეკურა ცუნენაგა იაპონელებმა იზოლაციიდან გამოსვლის შემდეგ აღმოაჩინეს, როცა მეორე იაპონური ელჩობის წევრებმა ვენეციაში ცუნენაგას მისიის ამსახველი დოკუმენტები ნახეს.

1980 წელს ცნობილმა იაპონელმა მწერალმა შუსაკუ ენდომ რომანი დაწერა ცუნენაგას ცხოვრებისა და ევროპული მისიის შესახებ.

იაპონიის მთავრობის ძალისხმევით ცუნენაგას ძეგლები დაიდგა აკაპულკოში, ჰავანაში, კორია-დელ-რიოში, მანილასა და ჩივიტავეკიაში, არაფერი რომ არ ვთქვათ სამ ძეგლზე მის მშობლიურ მიიაგის პრეფექტურაში.

რატომ არ შეიძლება სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი დაიდგას თუ რომში არა, ამავე ჩივიტავეკიაში მაინც?

ძალიან არ მინდა, სულხან—საბას ან მის რომელიმე თაყვანისმცემელს ეწყინოს, მაგრამ რომი მე მაინც უფრო ფარსმან ქველის ძეგლისთვის მემეტება.

28 ივნისი
ჩივიტავეკია
ღვთისმშობელი წვრილი თვალებით

ამ ჩემი სასტუმროს პატრონმა, ჩემმა კეთილმა მასპინძელმა და გიდმა ჩივიტავეკიაში დუილიო ფოსკიმ, დაინახა რა ჩემი დაინტერესება იაპონიით, კიდევ ერთი საინტერესო მისამართი მომცა. ეს არის იაპონელ მოწამეთა ეკლესია ვიალა-დელა-ვიტორიაზე.

ეკლესია 1864 წელს არის აშენებული ფრანცისკ ასიზელის სახელზე და ეძღვნება წმინდა პიერ ბატისტასა და მის 25 თანამოაზრეს, რომლებიც მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულნენ ნაგასაკიში1597 წელს.

მეორე მსოფლიო იმის შემდეგ ეკლესია საფუძვლიანად შეკეთდა იაპონიის მთავრობის დახმარებით და რაც მთავარია, თითქმის სრულიად განახლდა მისი ინტერიერი — ეკლესია მოხატა ცნობილმა იაპონელმა მხატვარმა ლუკას ჰასეგავამ. მისი ეს ფრესკები იაპონური ქრისტიანული მხატვრობის ერთადერთი ნიმუშია იტალიაში.

მოხატულობის მთავარი ფიგურაა წვრილთვალება ღვთისმშობლის ფრესკა ეკლესიის მთავარ საკურთხეველში. ლუკას ჰასეგავას ქრისტეც წვრილთვალებაა, რასაკვირველია.

28 ივნისი
სანტამარინელა
ყვავილები ზღვაში

ჩივიტავეკია და მისგან 9 კილომეტრით დაშორებული სოფელი სანტამარინელა ქართველი კაცისთვის მიხეილ თამარაშვილის სახელთან არის დაკავშირებული, რომელიც თავის მხრივ უშუალოდ უკავშირდება სულხან-საბას სახელს.

კათოლიკე მოძღვარი მიხეილ თამარაშვილი პირველი მეცნიერი იყო, ვინც სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის შესწავლას მოჰკიდა ხელი. ევროპის სხვადასხვა ქვეყნის არქივებსა თუ სიძველეთსაცავებში მან მოიძია საბას მოგზაურობასთან დაკავშირებული არაერთი დოკუმენტი, შეისწავლა, თარგმნა და გამოაქვეყნა ისინი.

რეზო თაბუკაშვილის ცნობილი დოკუმენტური ფილმის წყალობით, ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს მიხეილ თამარაშვილის ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის ძირითად მომენტებს და მისი სიკვდილის სულისშემძვრელ ამბავს:

1911 წლის 16 სექტემბერს მიხეილ თამარაშვილმა სანტამარინელას პლაჟზე ზღვაში დახრჩობას გადაარჩინა ადამიანი, თავად კი ზღვიდან გამოსვლა ვეღარ შეძლო და დაიღუპა. ორი დღის შემდეგ იგი იქვე, სანტამარინელას ეკლესიაში დაუკრძალავთ,მოგვიანებით კი ჩივიტავეკიაში, წმინდა მარინეს მონასტერში გადაუსვენებიათ.

პაატა ნაცვლიშვილი
სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“

◎ ჭადრაკი

ძაგნიძე ლიდერობას ინარჩუნებს

ცხრა ქართველი მანდილოსანი მონაწილეობს მოჭადრაკე ქალთა ევროპის 2014 წლის მე-15 ჩემპიონატში, რომელსაც ბულგარული პლოვდივი მასპინძლობს. წარმატებით თამაშობს საქართველოს ქალთა ნაკრების ლიდერი ნანა ძაგნიძე. მე-5 ტურში მან თეთრი ფიგურებით სომეხი ლილით მკრტიჩიანი დაამარცხა 41-ე სვლაზე და 4,5 ქულას მოუყარა თავი. ამდენივე ქულა მოაგროვეს ევროპის ჩემპიონებმა — ნატალია ჟუკოვამ (უკრაინა) და ვალენტინა გუნინამ, რომლებმაც, შესაბამისად, მარია მუზიჩუკს (უკრაინა) და რუმინელ კრისტინა-ადელა ფოიშორს სძლიეს.

ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ნატალია პოგონინა (რუსეთი)-სალომე მელია 0,5:0,5, ოლგა გირია (რუსეთი)-ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთი) 1:0, ანასტასია ბონდარუკი (რუსეთი)-ჰოანგ თან თრანგი (უნგრეთი) 0,5:0,5, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი)-ნინო ბაციაშვილი 0,5:0,5 (საგულისხმოა, რომ სტეფანოვა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონია), იოლანტა ზავადსკა (პოლონეთი)-ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) 0:1, ლელა ჯავახიშვილი-ინა გაპონენკო (უკრაინა) 1:0, მარიაგრაცია დე როსა (იტალია)-მონიკა სოჩკო (პოლონეთი) 0:1, ნინო ხურციძე-დარი ჩაროჩკინა (რუსეთი) 1:0, ელიზაბეტ პეტცი (გერმანია)-ზოია შლეინინგი (გერმანია) 1:0... მერი არაბიძე-დინა ბელენკაია (რუსეთი) 0,5:0,5, ვალენტინა გოლუბენკო (ხორვატია)-სოფიო გვეტაძე 0,5:0,5, ლანიტა სტეცკო (ბელარუსი)-სოფიკო გურამიშვილი 0:1, მადონა ბოკუჩავა-ტიჯანა ვლადოევიჩი (ჩერნოგორია) 0:1.

ხუთი ტურის შემდეგ ჟუკოვა, ძაგნიძე, გუნინა 4.5-4.5 ქულით ლიდერობენ. ექვს მოჭადრაკეს, მათ შორის, ჯავახიშვილსა და ხურციძეს, 4-4 ქულა აქვს; მელია, ბაციაშვილი — 3.5-3.5, არაბიძე, გვეტაძე, გურამიშვილი — 3-3, ბოკუჩავა — 1 ქულა.

გულშემატკივრებისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება იმის შეხსენება, რომ ევროპის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატებს 2000 წელს ჩაეყარა საფუძველი. პირველ შეჯიბრებას აჭარის დედაქალაქმა ბათუმმა უმასპინძლა და მედლებისთვის კონტინენტის 32 საუკეთესო დიდოსტატი იბრძოდა. მაშინ ჩემპიონი გახდა უკრაინელი ტატიანა ჟუკოვა, რომელმაც ფინალში ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) დაამარცხა. მესამე ადგილებზე ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და ტატიანა სტეპოვაია (რუსეთი) გავიდნენ.

2001 წ. ვარშავა. 1. ელმირა სკრიპჩენკო (მოლდოვა), 2. ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი), 3. **ქეთევან არახამია** (საქართველო).

2002 წ. ვარნა. 1. ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), 2. ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი), 3. ალისა გალიამოვა (რუსეთი).

2003 წ. სტამბოლი. 1. პია კრამლინგი (შვედეთი), 2. ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), 3. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი).

2004 წ. დრეზდენი. 1. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), 2. ჟაოფინ პენი (ჰოლანდია), 3. ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი).

2005 წ. ჩივინაუ. 1. კატერინა ლაგნო (უკრაინა), 2. ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი), 3. ელენა დემბო (საბერძნეთი).

2006 წ. კუშადაში. 1. ეკატერინა ატალიკი (თურქეთი), 2. თეა ბოსბოომი-ლანჩავა (ჰოლანდია), 3. ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი).

2007 წ. დრეზდენი. 1. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), 2. ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), 3. ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი).

2008 წ. პლოვდივი. 1. კატერინა ლაგნო (უკრაინა), 2. ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), 3. ანა უშენინა (უკრაინა).

2009 წ. სანკტ-პეტერბურგი. 1. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), 2. ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი), 3. ნატალია პოგონინა (რუსეთი).

2010 წ. რიეკა. 1. პია კრამლინგი (შვედეთი), 2. ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), 3. მონიკა სოჩკო (პოლონეთი).

2011 წ. . თბილისი. 1. ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), 2. ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), 3. ელინა დანიელიანი (სომხეთი).

2012 წ. გაზიანტეპი. 1. ვალენტინა გუნინა (რუსეთი), 2. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), 3. ანა მუზიჩუკი (სლოვაკეთი).

2013 წ. ბელგრადი. 1. ჰოანგ თან თრანგი (უნგრეთი), 2. **სალომე მელია** (საქართველო), 3. ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი).

2014 წ. პლოვდივი?

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

„ჩიხურა“ - ლამაზი გოლები და გზა თურქეთისკენ

საჩხერის „ჩიხურამ“ მაკედონიაში მოგებული 1:0-ის შემდეგ, შინ 3:1 სძლია „ტურნოვოს“ და ევროპის ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა. სოსო ფრუიძის გუნდი ყველა კომპონენტში სჯობდა სტუმრებს და სადავეები არც გაუშვია ხელიდან. ეგაა, პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გოლის გაშვება ცოტა უსიამოვნო იყო, თუმცა, მეორე ნახევრის შუაში ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა.

„ჩიხურამ“ I ეტაპი გადალახა და II ეტაპზე „ტურნოვოზე“ გაცილებით ძლიერ გუნდს, თურქულ „ბურსასფორს“ შეხვდება.

სტუმრად მოგება საკმარისი არ გამოდგა

ბოლნისის „სიონმა“ შინ წაგებული მატჩის შემდეგ ალბანეთში „ფლამურტარს“ 2:1 სძლია, თუმცა, უეფას თასის შემდეგ საკვალიფიკაციო ეტაპზე გასასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ბოლნისელებმა თბილისის მიხეილ მესხის სახელობის სარბიელზე გამართული მატჩი 2:3 წააგეს.

არცთუ საინტერესო პირველი ტაიმის შემდეგ, მატჩში ანგარიში 56-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც მოედანზე 2 წუთის წინ შესულმა ჯაბა უგულავამ გაიტანა.

ბოლნისელებს საერთო წარმატებისთვის კიდევ 1 გოლი სჭირდებოდათ და მათ 83-ე წუთზე ტაულიანტ კუჩის ავტოგოლის წყალობით იხეირეს, თუმცა, ქართული კლუბის სიხარულმა დიდხანს არ გასტანა.

შემდეგივე შეტევაში შეცვლაზე შესულმა არდიტ შეჰაიმ მირზა მერლანის კარი დალაშქრა და მართალია, ჯამური ანგარიში 4:4 დაფიქსირდა, მომდევნო ეტაპზე „ფლამურტარიმ“ გააღწია.

◎ ფარიკაობა

სტარტი — რუმინეთით

14 ივლისს ბუდაპეშტში წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. მედლებისთვის კონტინენტის 12 უძლიერესი ნაკრები იბრძოლებს.

A ჯგუფი. ჩერნოგორია, იტალია, საბერძნეთი, რუმინეთი, რუსეთი, საქართველო.

B ჯგუფი. სერბეთი, უნგრეთი, გერმანია, ხორვატია, საფრანგეთი, ესპანეთი.

უნგრეთში ჩასვლამდე ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა (ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, ბექა ქავთარაძე, ზურაბ რურუა (კაპიტანი), მიხეილ ბაღათურია, გიორგი ხვედელიანი, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, დამირ ცრეპულია, მარინო ფრანიჩევიჩი, მარკო ელეზი, მარკო ელაჩა, ალექსანდრე რუსიშვილი, ანდრია ბითაძე (სათადარიგო). მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ ისელიძე, მწვრთნელი: იოვან პოპოვიჩი) ბოლო საწვრთნელი შეკრება ჩერნოგორიაში გაიარა. ქართველი წყალბურთელები დღეს ბუდაპეშტში ჩავლენ. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის პირველ ორთაბრძოლას რუმინელებთან გამართავენ. კონტინენტის პირველობა 27 ივლისს დასრულდება.

A ჯგუფის კალენდარი

14 ივლისი. რუმინეთი — საქართველო, 15 საათი (თბილისის დროით), ჩერნოგორია — საბერძნეთი, იტალია — რუსეთი.

15 ივლისი. საქართველო — საბერძნეთი (13:30), რუსეთი — ჩერნოგორია, რუმინეთი — იტალია.

17 ივლისი. საბერძნეთი — რუსეთი, იტალია — საქართველო (13:30), ჩერნოგორია — რუმინეთი.

19 ივლისი. საქართველო — რუსეთი (15:00), რუმინეთი — საბერძნეთი, იტალია — ჩერნოგორია.

21 ივლისი. რუსეთი — რუმინეთი, საბერძნეთი — იტალია, ჩერნოგორია — საქართველო (13:30).

ლაშა დიდია

სურათზე: საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები.

◎ ძიუდო

ბაკურიანში მოემზადებიან

აგვისტოს მიწურულს ჩელიაბინსკში ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის ირაკლი უზნაძის ხელმძღვანელობით. ჩვენმა ფალავნებმა წინა კვირას ულან ბატორში გრან-პრიზე იჭიდავეს, გუშინ კი ბაკურიანში გაემგზავრნენ საერთო ფიზიკური მომზადების გასავლელად. მეორე საწვრთნელ შეკრებას სამხრეთ კორეაში გაივლიან, სადაც მხოლოდ ის ძიუდოისტები წავლენ, რომლებიც მსოფლიოზე იჭიდავებენ.

ბაკურიანში ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ 11 სპორტსმენი წაიყვანა: ამირან პაპინაშვილი (60), შალვა ქარდავა (66), ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი (ორივე — 73), ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი (81), ვალერი ლიპარტელიანი, ბექა ღვინიაშვილი (90), ადამ ოქრუაშვილი, ლევან მათიაშვილი (+100) და ქალთა ნაკრების წევრი ესტერ სტამი (70). თბილისში სამკურნალოდ დარჩა ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (73), ნაკრებს იგი, სავარაუდოდ, მომდევნო კვირას შეუერთდება. როგორც ვხედავთ, 100 კილოში არავინ გვყავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ წონაში მსოფლიოზე წარმომადგენელი არ გვეყოლება. წლის განმავლობაში ამ წონის კანდიდატებმა სახეირო ვერაფერი გააკეთეს და მთავარი მწვრთნელი ვერც მსოფლიოზე ენდობა მათ. ამასთან, გუნდურში ეს წონა არაა. ასე რომ, დიდი დანაკლისი არ იქნება.

ბაკურიანის შეკრება, როგორც აღვნიშნეთ, ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა, კორეაში კი ძირითადად ტატამზე იმუშავებენ.

გივი გაგუა

წარუშლელი კვალი

იეთიმ გურჯივით კაცი

14 ივლისს ცნობილ ქართველ მსახიობს, საქართველოს სახალხო არტისტს ირაკლი უჩანეიშვილს 85 წელი შეუსრულდებოდა... ჩვენს დროში, სამწუხაროდ, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, რატომღაც, არ უხდიან იუბილეებს. ამისთვის ჩვენი ტელევიზიებიც ვერ თუ არ იცლიან. რუსეთის კულტურის არხზე კი ყველაფერი ძველებურადაა. იქ, ზოგჯერ, ქართული კულტურის მოღვაწეებსაც ნახავთ...

თბილისელ მაყურებლებს არ ავიწყდებათ ირაკლი უჩანეიშვილი, მისი გიტარა და სიმღერა, მისი როლები კინოსა თუ თეატრში. მარტო „იეთიმ გურჯი“ რად ღირს, ან „ძველ ვოდევილებში“ შესრულებული მთავარი როლი! ვინ იფიქრებდა, განუმეორებელ ვასო გოძიაშვილს შეცვლიდა ვინმე — მოწაფემ გაამართლა მასწავლებლის იმედი, ის ხომ ბატონი ვასოს აღმოჩენილი იყო...

ბრწყინვალე როლებისა და სიმღერების გარდა, აღსანიშნავია მისი მუშაობა გახმოვანებაშიც — იმდენი რუსული და უცხოური ფილმი აქვს გახმოვანებული, თავისი ბოხი და ხავერდოვანი ხმით, რომ ერთი მსახიობისთვის ესეც საკმარისი იქნებოდა მოსაგონებლად და დასაფასებლად. ხოლო ეს ბევრმა არც იცის: როცა ფილმ „გიორგი სააკაძეს“ გახმოვანება გაუფუჭდა და აღსადგენი გახდა (ოქროს ფონდის ეგზემპლარზე არაა ლაპარაკი), ბატონი აკაკი ხორავა მძიმედ ყოფილა ავად და თვითონვე უთქვამს, ირაკლი უჩანეიშვილმა გამახმოვანოსო. და დღეს, როცა „გიორგი სააკაძეს“ უყურებენ, გარდა ახლობლებისა, ვერავინ ხვდება, რომ ხორავას „სააკაძე“ ირაკლი უჩანეიშვილის გახმოვანებულია. ასევე თენგიზ აბულაძის „ვედრებაში“, თავიდან ბოლომდე, ვაჟას გენიალურ სტროფებს ის კითხულობს.

თბილისში იყო დაბადებული და გაზრდილი, მაგრამ არანაკლებ შეჰხაროდა ზანათსაც, მამის სოფელს აბაშის რაიონში, რადგან ზანათშიც გაიზარდა, ზანათის სკოლაშიც უსწავლია. ზანათი ჩემი სოფელიცაა და — ხშირად მინახავს როგორ შესციცინებდნენ თანასოფლელები, ისიც ვერ მალავდა მათდამი დიდ სიყვარულს. ყოველ ზაფხულს ესტუმრებოდა წინაპართა კარ-მიდამოს. სახლს თუ თოვლი, ან წვიმა რამეს დაუზიანებდა, მაშინვე გამოცვლიდა, შელახულ ღობესაც შეაკეთებდა და რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ მისი სახლ-მუზეუმი უყურადღებოდაა მიტოვებული და საგრძნობლად მოუვლელი ჩანს (კარგი იქნება, თუ რაიონის ახალარჩეული ხელმძღვანელობა ამისთვის დროს და საშუალებას გამონახავს). ასევე ძალიან მწყდება გული, რომ თავის საყვარელ ძველ თბილისში, სადაც მთელი ბავშვობა და სიჭაბუკე გაატარა, მისი სახელობის პატარა ქუჩაც არაა...

აბაშაში ჩასული, მაშინვე თანაკლასელებს და მეგობრებს მოინახულებდა. უხაროდა მათთან ყოფნა და მეგრულად ლაპარაკი... მათ შორის სუფრასთან მჯდარი და მოქეიფეც მინახავს, მაშინ იეთიმ გურჯს ჰგავდა, მისგანვე განსახიერებულ იეთიმ გურჯს. საერთოდ, იეთიმ გურჯივით კაცი იყო...

ჩემს ძვირფას აბაშელებს შევახსენებ: მათი საამაყო და სასახელო ირაკლი უჩანეიშვილი, ამ დღეებში, 85 წლისა გახდებოდა. ჩვენს შორის რომ იყოს, ხომ ავღნიშნავდით ამას რაიონის ცენტრშიც და მის ეზო-კარშიც, მისგან უარის მიუხედავად?! ჩვენს შორის რომ არაა, არ უნდა აღვნიშნოთ? — აბაშას კულტურის სახლი და ინტელიგენცია მაინც ჰყავს რიგიანი და შესაფერისი, სიმდიდრე თუ არა. სხვათა შორის, უკვე დროა, აბაშის კულტურის სახლს მიენიჭოს სახალხო თეატრობა და ირაკლი უჩანეიშვილის სახელი დაერქვას, ამაზე, არა მგონია, უარი თქვას კულტურის სამინისტრომ. მე ახლოს ვიცნობდი ბატონ ირაკლის და, როცა ვისმენ მისგან წაკითხულ ლექსს ან სიმღერას მისი შესრულებით, სიამაყის გრძნობა მეუფლება, მიხარია, რომ მისი თანასოფლელი ვარ — ჩვენს სახლებს შორის მდინარე აბაშა მიედინება.

მინდა, ეს მოგონება დავასრულო ლექსით, რაც ბატონ ირაკლის ხსოვნას ეძღვნება:

მსახიობი სამოთხეში

ირაკლი უჩანეიშვილის ხსოვნას

**მსახიობს უნდა მოთმენა ჰქონდეს იობის.
სპექტაკლი — ველი ბრძოლისა, ველი ხრიოკი,
მთავრდება ტაშის წალკოტში გამყვან ღიობით.
იქ ჩემი ყოფნა თეატრმა ტაშით მოღობა,
აქ კი მისიებს გულს ერთი დარდის ობობა:
იმიტომ გავხდი მიწაზე მე მსახიობი,
რომ ზეცაშიაც მინდოდა მსახიობობა.**

**გარდაცვლილებიც ელტვიან ზოგჯერ გართობას,
სამოთხეშიაც სჭირდებათ გრძნობებს ვარდობა,
აქაც აქვთ სცენა, არც აქ სურს ყოფნა მარტოკა,
მაგრამ დარჩენას აქ მაინც არ ვისურვებდი:
ტაშს ვერ უკრავენ, არ ისმის ტაში სრულებით,
სულებს ხელები აქვთ კია, მაგრამ რატომღაც
ვერ გამოსცემენ ხმას მათი ხელისგულები.**

ბათუ დანელია

მოსაზრება

„ნაციონალური მოძრაობის“ სიმულაციის და პროვოკაციის ტაქტიკის თაობაზე

სიმულაცია ლათ. simulatio — **თვალთმაქცობა, მცდარი წარმოდგენის შექმნა მოტყუების მიზნით.**

პროვოკაცია ლათ. provocatio — **წაქეზება მძიმე შედეგების მომტანი ქმედებებისკენ.**

ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. ბრწყინვალე მატჩებთან ერთად, სამწუხაროდ, პერიოდულად ვხედავთ ცალკეული ფეხბურთელების მხრიდან სიმულაციას თუ პროვოკაციას, განსაკუთრებით მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. როგორც წესი, ამ შემთხვევებში მსაჯები არ ტყუვდებიან და სიმულანტის მიმართ იყენებენ არსებულ სასჯელს — უჩვენებენ ყვითელ თუ წითელ ბარათს.

ეს ფეხბურთში.

როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეს საზოგადოებას (კოლექტიურ მსაჯს) პოლიტიკური სიმულაციის თუ პროვოკაციის ტაქტიკის მიმართ, რომელსაც ჯიუტად მიმართავს „ნაციონალური მოძრაობა“?

ალბათ, იგივე ყვითელი თუ წითელი ბარათი! დღევანდელ ვითარებაში — უარი მათთვის ხმის მიცემაზე ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურში.

და, ალბათ, ეს უნდა გააკეთოს ყველა პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერმა, მათ შორის, თვით „ნაციონალური მოძრაობის“ ობიექტურმა გულშემატკივარმა.

ზ. მესხიშვილი

დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

საქართველოს ქალთა საბჭო მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ქალთა საბჭოს წევრს ქალბატონ გულიკო კვიჟინაძეს დისშვილის

ივანე ყურუას

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 12, VII, დაკრძალვა 13 VII, დაბა კოჯორში.

შპს „გზამშენპროექტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე ორგანიზაციის მთავარი ბუღალტრის

ვაჟა ხვადაგიანის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ინფორმაცია

მკვლელობა ახალქალაქში

ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის სამველ პეტროსიანის ინფორმაციით, ბებიასა და შვილიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მიმალვაშია. მისი თქმით, ეჭვმიტანილი ჯერ დაკავებული არ არის, თუმცა, დარწმუნებულია, რომ სამართალდამცავები მის დაპატიმრებას შეძლებენ.

როგორც დეპუტატმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მკვლელობა ყოფით ნიადაგზე მოხდა, თუმცა, ვიდრე გამოძიება მიმდინარეობს, მკვლელობის მოტივზე ვერ ილაპარაკებს.

როგორც სამველ პეტროსიანი აცხადებს, მკვლელობა ახალქალაქის სოფელ გოგაშენში მოხდა.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ეჭვმიტანილს უყვარდა ახალგაზრდა ქალი, რომლის შვილიც და დედაც მოკლა. ახალქალაქში ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც იგი ცოლად სხვას გაჰყვა, ეჭვმიტანილმა შური იძია.

შსს-ს ცნობით, სისხლის სამართლის საქმე 109-ე მუხლით აღიძრა და გამოძიება მიმდინარეობს.

ტესტი

როგორი მიდრეკილება გაქვთ განცდებისადმი?

ეს რომ გავიგოთ, უნდა ვუპასუხოთ ტესტის შეკითხვებს. ვარიანტი სამია: 1) ხშირად, 2) ზოგჯერ, 3) არასდროს. ამოირჩიეთ, რომელია თქვენთვის უფრო ახლობელი.

1. გიჩნდებათ აზრი, რომ დაკარგეთ კონტროლი ცხოვრებაზე?
2. გრძნობთ, რომ მოწყდით საზოგადოებას?
3. შეხედოთ თქვენს ქცევებს გარედან — რთული ამოცანაა თქვენთვის?
4. უკანასკნელ ხანებში ყველაფერზე გეთანაღრებათ გული?
5. ხართ ხოლმე იმპულსური?
6. თუ ფიქრობთ ხოლმე, რომ მარტოსული ხართ?
7. თუ ხდება ხოლმე, რომ თავი არ მოგწონთ, ღიზიანდებით ყოველგვარი მიზეზგარეშე?
8. თქვენთვის აქვს მნიშვნელობა თქვენი მეგობრებისა და ახლობლების მიერ თქვენი იდეებისა და მოქმედებების მოწონებას?
9. გტანჯავთ შეგრძნება, რომ უკვე აღარ შეგიძლიათ რაიმე სიახლე მიაწოდოთ ვინმეს?
10. თუ ფიქრობთ იმაზე, რომ გარშემომყოფები დიდი აზრის აღარ არიან თქვენს მიმართ?
11. სწორი არიან ისინი, ვინც ამტკიცებს, რომ აბსოლუტურად ახლობელი და ნდობითი დამოკიდებულება მხოლოდ ილუზიაა?
12. თუ გაშინებთ ზოგიერთი ადამიანი და გარკვეული სიტუაციები, შინაგან დაძაბულობას რომ განგაცდევინებენ?
13. თუ გაქვთ ხოლმე დათრგუნვილი მდგომარეობა, არაფერი ქვეყანაზე აღარ გახარებთ?
14. თუ არის ხოლმე, რომ გიჭირთ იყოთ ოქროს შუალედურ მდგომარეობაში.
15. თუ ცდილობთ ხოლმე, რომ ერიდოთ ურთიერთობას გარშემომყოფებთან?

ყოველ პასუხზე „ხშირად“ დაიწერეთ 3 ქულა, „ზოგჯერ“ — 2 ქულა, „არასოდეს“ — 1 ქულა. შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

45-31 ქულა. ერთგვარად მოუსვენარი ადამიანი ბრძანდებით. ზოგჯერ გაწამებთ ეჭვები და ცხოვრების ზოგიერთი მოუწესრიგებლობა. შეიცანით მარტივი ჭეშმარიტება, რომ სრულყოფილი ადამიანები ამ ქვეყანაზე არ არიან, და როდესაც ცდილობთ წარმოაჩინოთ საკუთარი თავი უკეთესი მხრიდან, თავს ნუ წაუყენებთ მეტისმეტად გაზრდილ მოთხოვნებს.

30-21 ქულა. სავსებით სავარაუდოა, რომ ზოგჯერ ძალიან მწვავე რეაგირებას ახდენთ მოვლენებზე, რომლებიც, გულახდილად რომ ითქვას, სრულიადაც არ ღირს ამად. ისწავლეთ უფრო ფრთხილად მოეკიდოთ თქვენს ემოციებს, რომ თავიდან აიცილოთ ზედმეტი მღელვარება.

20-15 ქულა. თქვენ დიდად არ გაღელვებთ განცდები და ხშირად სულიერი ტანჯვები, თუმცა, შეიძლება, იყოთ მოუქნელი.

◎ დღესასწაული

პეტრეპავლობა

12 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია პეტრეპავლობას დღესასწაულობს.

...მოციქულთა თავი — პეტრე იესო ქრისტეს სამგზის უარყოფის შემდეგ ღვთის სიტყვის მხურვალე მქადაგებელი და პირმეტყველ ცხოვართა ერთგული მწყემსი შეიქმნა.

...სულთმოფენობის დღესასწაულზე მისმა მადლმოსილმა სიტყვებმა სამი ათასი კაცი მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. პეტრემ მოიარა რომი, ანტიოქია, მცირე აზია, ეგვიპტე, საბერძნეთი, ესპანეთი, ბრიტანეთი. ის ყველგან ქრისტეს სწავლების მარცვლებს თესდა, აფუძნებდა ეკლესიებს. პეტრეს ქადაგებებს მრავალი სასწაული ახლდა თან: სნეულები პეტრეს ჩრდილის დაცემითაც კი იკურნებოდნენ.

წმინდა მოციქულთა თავი — პეტრე მოწამეობრივად აღესრულა რომის სისხლიანი იმპერატორის ნერონის ზეობისას. ჯვარზე თავდაღმა მიმსჭვალულ უფლის რჩეულს სულის ამოხდომამდე ქადაგება არ შეუწყვეტია.

მოციქულთა თავმა — პავლემ ბევრი მოაქცია ქრისტიანად თავისი ქადაგებითა და სასწაულებით. რომაელთა იმპერატორმა პავლე მოციქული დააპატიმრა და სხვა პატიმრებთან ერთად იტალიაში გააგზავნა. იქ პავლე მოციქულს კეისრის წინაშე უნდა ემართლებინა თავი. ხომალდმა დიდი წვალებით კუნძულ კრეტას მიაღწია. პავლემ იწინასწარმეტყველა, რომ ცურვის გაგრძელება მათი სიცოცხლისთვის სახიფათო იქნებოდა. ზოგმა სამშვიდობოს ცურვით გააღწია, პავლეს კი თავი მოჰკვეთეს.

...უფლის სათნომყოფელნი პეტრე და პავლე თავიანთი ღვაწლით იმდენად გამოირჩეოდნენ ქრისტეს სხვა მოწაფეთაგან, რომ ეკლესიამ მათი ხსენება ერთ დღეს დააწესა.

13 ივლისს ქართველობა ყოვლადქებულთა 12 მოციქულთა კრებას და სვეტიცხოვლობას დღესასწაულობს.

გიული ლიპარტია

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

განცხადება

ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, ორი ათას ცამეტი წლის თოთხმეტ თებერვალს გარდაცვლილი ქალბატონის მარია სტოლჩენკოვას (პირადი №61001026634) მიმართ, გთხოვთ, დაინტერესებულ პირებს, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა.

ნოტარიუსი ვალიდა ნინიძე
01.07.2014წ.

განცხადება

ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, ორი ათას თორმეტი წლის ოცდაექვს მარტს გარდაცვლილი ქალბატონის ლუდმილა ალიფეროვას (პირადი №61001054005) მიმართ, გთხოვთ, დაინტერესებულ პირებს, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა.

ნოტარიუსი ვალიდა ნინიძე
01.07.2014წ.

◎ ჩვენი კარაბადინი

რა უნდა ვქნათ, რომ უფრო ცოტა ვიავადმყოფოთ?

მოდით, დღეს შევეცადოთ, ვუპასუხოთ იმათ ამ კითხვას, ვისაც თუნდაც ერთხელ დაუსვამს იგი თავისი თავისთვის ან ექიმებისთვის.

ყველაზე მთავარია — აუცილებლად გინდოდეს, იყო ჯანმრთელი. ჩვენი ჯანმრთელობა ხომ, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 48 პროცენტით, ჩვენი უმრავლესობის აზრით კი — მინიმუმ 70 პროცენიტით, თავად ჩვენზეა დემოკიდებული.

ძირითადი დაავადებანი, როგორც წესი, ჩნდება ორგანიზმის გაუწყლოების გამო:

რატომ?

ჩვენი ორგანიზმი 75 პროცენტით, ტვინი — 85, სისხლი — 94 პროცენტით წყლისგან შედგება. წყალი — ორგანიზმის საფუძველია.

საკვების გარეშე შეიძლება იცოცხლო 40 დღემდე, უწყლოდ კი — მხოლოდ 5, 7, ბავშვებმა — 2-3 დღე. წყალიც იმუშავებს ენერგიას. წყალი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკვები.

როდესაც ამ ქვეყანას ვევლინებით, ჩვენ 90 პროცენტით წყლისგან შევდგებით, ხოლო როდესაც მოხუცებულობისაგან ვკვდებით — მხოლოდ 65 პროცენტით. წყლის დაკარგვით ჩვენ ვიწყებთ ავადმყოფობასა და დაბერებას.

დღეს მედიცინა გვეუბნება, რომ ჩვენ ვხდებით ავად და ვბერდებით შაქრის, ქოლესტერინის სიჭარბისა და ჰორმონების, ფერმენტების, მიკროელემენტებისა და სხვათა დეფიციტის გამოო. მაგრამ ავიღოთ ხანდაზმული ადამიანი, რომელსაც აქვს შაქრისა და ქოლესტერინის სიჭარბე ჰორმონებისა და სხვათა დეფიციტი 780 პროცენტით — ის ცოცხალია. აი, აბსოლუტურად ჯანმრთელი ახალგაზრდა 12 პროცენტის დეფიციტით — იღუპება. მაშასადამე, წყლის 12 პროცენტით დეფიციტი ყველაფერი დანარჩენ 80 პროცენტზე უფრო ძვირფასია და წყალი — ორგანიზმში ყველაზე ძვირფასი პროდუქტია. მისი დეფიციტის დროს ორგანიზმი ენერგიის ნაწილს წყლის გამომუშავებაზე ხარჯავს.

ამრიგად, როდესაც წყლის სმას ვიწყებთ, ჩვენ ვახდენთ იმ მიკროელემენტების, ვიტამინებისა და სხვათა ეკონომიას, რომელთა დახმარებითაც გამომუშავებული იქნება დამატებითი ენერგია, ნაკლებად ვიავადმყოფებთ და შევანელებთ დაბერებას. ამაზე მეტყველებს ის ფაქტორიც, რომ ევროპაში წყალს სვამენ 10-12-ჯერ მეტს და ცოცხლობენ 10 წლით უფრო დიდხანს, ისრაელში კი ექიმთან მიღებაზე პირველი შეკითხვაა: „რამდენ წყალს სვამ?“ იაპონიაში 20 წლით მეტხანს ცოცხლობენ, იქ ხანდაზმულები სვამენ სპეციალურ „წყალს“, რომელმაც ახლოა ორგანიზმის წყალთან...

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **თქვენს ქმარს სიწყნარე და სიმშვიდე სჭირდება, — ეუბნება ექიმი ახალგაზრდა ქალს, — აი, საძილე წამლის რეცეპტი.**

— **და როდის უნდა მიიღოს მან ეს წამალი?**

— **მან კი არა, ეს წამალი თქვენ უნდა მიიღოთ.**

* * *

— **რობერ ითევზავე?**

— **გადასარევად. სულ ცოტა ათკილომეტრიანი ლოქო დავიჭირე.**

— **მერე რა ქენი, გამოშიგნე?**

— **არა, მდინარეში გავუშვი. მაინც არავინ დამიჯერებდა და...**

* * *

— **გავიგე, რომ კვლავ დაქორწინებულხარ.**

— **ჰო, დაშაზე ვიქორწინე.**

— **კი, მაგრამ დაშა ხომ შენი პირველი ცოლის დაიკოა!**

— **აბა რა მექნა! სიდედრი მომწყინდა.**

* * *

— **ჩემი კომპიუტერი თავისით ითიშება... რა ვქნა?**

— **სისტემური ბლოკი მაგიდის ქვეშ გიდგას?**

— **ჰო.**

— **წინდები გამოიცვალე... მას სუნისგან გული მისდის.**

* * *

სტალინი კაბინეტში ზის და ყალიონს აფუიულებს. შემოდის ოფიცერი:

— **ამხანაგო სტალინ, თქვენთან ერთ ადამიანს სურს შემოსვლა. ამბობს, მომავლის წინასწარმეტყველება შემიძლიაო.**

სტალინი წამით ჩაფიქრდა და თქვა:

— **დახვრიტეთ!**

— **ოჰ, ეს თაღლითები... მომავლის წინასწარმეტყველება რომ შეძლებოდა, ხომ არ მოვიდოდა, — ჩაილაპარაკა შემდეგ.**

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24